Сплавы на основе  $TiAl$  можно использовать для изготовления статора компрессора, воздушных фильтров камеры низкого давления, деталей сопла, лопаток компрессора и корпуса турбины авиационных двигателей. В замен жаропрочных и нержавеющих сталей интерметаллид  $TiAl$  можно применять для изготовления разных деталей автомобильных двигателей.




Рис. 2. Влияние содержания алюминия на прочность сплавов  $Ti - Al$  при разных температурах.

Новые сплавы на основе алюминидов никеля  $Ni_3Al$  предназначены для работы при высоких температурах порядка  $1000^{\circ}C$  в агрессивных средах. Из них в частности, могут быть изготовлены поршни, вентили, роторы двигателей для автомобилей.




Рис. 3.

Сплавами на основе интерметаллидов являются также так называемые суперсплавы. Это сплавы на основе элементов VIII группы, они были получены в США путем введения небольших добавок титана и алюминия к хромоникелевому сплаву и разработаны для эксплуатации при температурах близких температуре плавления (реактивные двигатели, атомные реакторы, газовые турбины). Алюминий и титан образуют в сплавах основную упрочняющую  $\gamma'$  – фазу т. е.  $Ni_3(Al, Ti)$ .

Известные суперсплавы США на никелевой основе: Astroloy, Inconel 718, Rene 41, железоникелевые сплавы Haynes 556, N 155, кобальтовый сплав L605, работающий при температуре  $980^{\circ}C$ .

Жаропрочные интерметаллиды обладают следующими механическими свойствами:

- 1) Высокая хрупкость, которая не устает при уменьшении количества примесей.
- 2) Хрупкое разрушение при растяжении и пластичное разрушение при сжатии.
- 3) Высокая твердость ( $HV500 - 11000\text{МПа}$ ).
- 4) Аномальная зависимость предела текучести от температуры: низкая прочность при комнатной  $T$  и высокая при повышении  $T$ .
- 5) высокая температура плавления (выше  $2000^{\circ}\text{C}$ ).

Суперсплавы обладают следующими основными структурами:

- 1) Матрица аустенит, когерентные включения при  $\gamma'$  – фазе,
- 2) Кобальтовые сплавы, включения карбиды.
- 3) Зернограничная фаза улучшающая сопротивление разрыву.
- 4) Бориды включающие редкие частицы по границам зерен.
- 5) Плотные упакованные фазы.

Можно сказать, что применение интерметаллических соединений открывают новую эру в создании двигателей для аэрокосмической техники и развития других отраслей машиностроения.

### Литერატურა

1. Ахметов Н. С., Общая и неорганическая химия – М. Высшая школа, 1981, 679 с.;
2. Киреев В. А., Курс физической химии – М. Химия, 1975, 775 с.;
3. Геллер Ю. А., Рахштадт А. Г., Материаловедение - М. Металлургия, 1989, 455с.;
4. Арзамасов В. Н., Материаловедение - М. Машиностроение, 1986, 384 с.;
5. Гуляев А. П., Металловедение - М. Металлургия, 1986, 541с.

### Intermetallic alloys and their Application in mechanical engineering

Zurab Mchedlishvili, Nana Rachvelishvili

#### Abstract

Intermetallics have long been used as structural materials in various engineering industries. It is well known to use aluminides and silicides as protective sheds in the treatment of reactive metals. Intermetallics are promising structural materials. Materials such as titanium aluminides are good structural materials in aviation and automotive technology, as they have low density, high heat resistance and good casting properties. Structural materials based on other metals and intermetallics that do not contain aluminum have also been developed.

### ინტერმეტალიდური შენადნობები და მათი გამოყენება მანქანათმშენებლობაში

ზურაბ მჭედლიშვილი, ნანა რაჭველიშვილი

#### რეზიუმე

ინტერმეტალიდები უკვე დიდი ხანია ფართოდ გამოიყენება მანქანათმშენებლობის სხვადასხვა დარგში კონსტრუქციული მასალების სახით. კარგადაა ცნობილი ალუმინიდებისა და სილიციდების გამოყენება დამცავი დაფარვების სახით ქიმიურად აქტიური ლითონების დამუშავებისას. ინტერმეტალიდები წარმოადგენენ პერსპექტიულ კონსტრუქციულ მასალებს. ისეთი მასალები, როგორიც არიან ტიტანის ალუმინიდები, არიან კარგი კონსტრუქციული მასალები საავიაციო და საავტომობილო ტექნიკაში, იმის გამო, რომ გააჩნიათ დაბალი სიმკვრივე, მაღალი თბოსიმტკიცე და კარგი ჩამოსხმითი თვისებები. შემუშავებულია აგრეთვე კონსტრუქციული მასალები სხვა ლითონებისა და ინტერმეტალიდების ფუძეზე, რომლებიც არ შეიცავენ ალუმინს.

## Определение перемещении свободного конца закрученного относительно своей оси симметрии консольной балки

Раул Турманидзе\*, Зураб мchedlishvili\*\*,

Лали корганашвили\*\*\*

*\*профессор, Факультет транспортных систем и механики инженерии, начальник департамента механики инженерии и производственных технологий;*

*\*\*асоцырованный профессор, Грузинский технический университет, Факультет транспортных систем и механики инженерии, департамент инженерной графики и технической механики,  
E-mail: zurab.mch@mail.ru;*

*\*\*\*асоцырованный профессор, Грузинский технический университет, департамент инженерной механики и технической экспертизы строительного факультета*

(Грузинский технический университет, ул. Костава №71, 0175,  
Тбилиси, Грузия)

**Резюме:** В статье рассмотрен расчет на перемещении конца консольной балки предварительно закрученного относительно своей оси симметрии. Такие стержни применяются в строительных конструкциях и в различных машинных агрегатах, и нуждаются всестороннем исследовании методами сопротивления материалов. Эта задача является фундаментальной задачей строительной механики машин и различных строительных стационарных конструкции.

**Ключевые слова:** стержень, закрутка, перемещение, сечение, изгибающий момент.

### Введение

Некоторые детали различных строительных конструкции и некоторых машинных агрегатов, находятся под воздействием сил приложенных от взаимодействия с различными примикающими деталями. Эти силы вызывают напряженно деформированное состояние этих деталей.

Как известно с целью повышения прочности машиностроительных и строительных конструкции, их некоторым деталям придают закрученную форму, которая значительно повышает их жесткость и грузоподъемность. Кроме этого применение таких деталей позволяет создавать эти конструкции как можно легкими, и производить меньшую затрату материяла во время их изготовления.

### Основная часть

Спиралевидный брус прямоугольного поперечного сечения (рис. 1) нагружен на конце изгибающим моментом. Надо определить поперечные перемещения в горизонтальном и вертикальном направлении. Предварительно заданы его геометрические и механические параметры:  $b$  — высота сечения  $a$  — ширина сечения,  $l \gg b$  — длина стержня,  $E$  — модуль упругости материала стержня,  $M$  — изгибающий момент приложенный в конце стержня.




Рис. 1

Рассматриваемый нами стержень одним концом заделан жестко. На свободном его конце приложен момент пары сил  $M$  (Рис. 1). Для определения перемещений воспользуемся формулой Мора. В начале получим зависимости изгибающих моментов в произвольном поперечном сечении от действия приложенного в конце стержня момента  $M$  и единичных сил приложенных также к торцевому сечению в горизонтальном и вертикальном направлении. Во всех случаях нагружения стержня имеет место кривой изгиб из за его закрученности (рис. 2).




рис. 2


Из за крутки поперечное сечение стержня отстоящее на расстояние  $z$  от свободного конца поворачивается на угол  $\varphi$ . Так что изгибающий момент  $M$  действующий в этом сечений мы можем разложить на две составляющиена связанные с сечением оси координат  $O_ix_iz_i$ (рис. 3):

$$M_{1x_i} = M \cdot \cos(90^\circ + \varphi) = M \cdot (-\sin\varphi); \quad M_{y_i} = M \cdot \cos\varphi; \quad (1)$$


По этим осям разлагается на сотовляющие, так же моменты создаваемые этом сечений силами  $F_{1x} = 1N$ ; и  $F_{1y} = 1N$ :

$$M_{1x_i}^h = z \cdot (-\sin\varphi); \quad M_{1y_i}^h = z \cdot \cos\varphi; \quad (2)$$

$$M_{1x_i}^v = z \cdot (-\cos\varphi); \quad M_{1y_i}^v = z \cdot (-\sin\varphi); \quad (3)$$



რის. 3



რის. 4

Напишем интегралы мора для определения горизонтального и вертикального перемещения торцевого сечения по направлениям осей  $Ox$  и  $Oy$ , учитывая что:

$$z = \frac{2l}{\pi} \varphi dz = \frac{2l}{\pi} d\varphi \quad (4)$$

Для удобства расчета с перва определяем перемещение по направлении оси  $Oy$  с помощью формулы:

$$\Delta_y = \int_0^l \frac{M_{x_i} M_{1x_i}^h}{EI_{x_i}} dz + \int_0^l \frac{M_{y_i} M_{1y_i}^h}{EI_{y_i}} dz \quad (5)$$

с начало вычисляем по отдельности интегралы:

$$\begin{aligned} \int_0^l \frac{M_{x_i} M_{1x_i}^h}{EI_{x_i}} dz &= \int_0^l \frac{M \cdot (-\sin\varphi) \cdot z \cdot (-\sin\varphi)}{EI_{x_i}} dz = \int_0^l \frac{M \cdot z \sin^2 \varphi}{EI_{x_i}} dz = \\ &= \int_0^l \frac{M \cdot \frac{2l}{\pi} \cdot \varphi \sin^2 \varphi}{EI_{x_i}} \cdot \frac{2l}{\pi} d\varphi = \\ &= \frac{4Ml^2}{\pi^2 EI_{x_i}} \cdot \int_0^{\pi/2} \varphi \cdot \sin^2 \varphi d\varphi = \frac{4Ml^2}{\pi^2 EI_{x_i}} \cdot \left( \frac{\varphi^2}{2} - \frac{\varphi \cdot \sin 2\varphi}{4} - \frac{\cos 2\varphi}{8} \right) \Big|_0^{\pi/2} = \\ &= \frac{4Ml^2}{\pi^2 EI_{x_i}} \cdot \left( \frac{\pi^2}{8} - \frac{\pi \cdot \sin \pi}{8} - \frac{\cos \pi}{8} + \frac{1}{8} \right) = \frac{4Ml^2}{\pi^2 EI_{x_i}} \cdot \frac{\pi^2 + 2}{8} \end{aligned} \quad (6)$$

$$\begin{aligned} \int_0^l \frac{M_{y_i} M_{1y_i}^h}{EI_{y_i}} dz &= \int_0^l \frac{M \cdot \cos\varphi \cdot z \cdot \cos\varphi}{EI_{y_i}} dz = \int_0^l \frac{M \cdot z \cos^2 \varphi}{EI_{y_i}} dz = \\ &= \int_0^l \frac{M \cdot \frac{2l}{\pi} \cdot \varphi \cos^2 \varphi}{EI_{y_i}} \cdot \frac{2l}{\pi} d\varphi = \\ &= \frac{4Ml^2}{\pi^2 EI_{y_i}} \cdot \int_0^{\pi/2} \varphi \cdot \cos^2 \varphi d\varphi = \frac{4Ml^2}{\pi^2 EI_{y_i}} \cdot \left( \frac{\varphi \cdot \sin 2\varphi}{4} + \frac{\cos 2\varphi}{8} + \frac{\varphi^2}{2} \right) \Big|_0^{\pi/2} = \\ &= \frac{4Ml^2}{\pi^2 EI_{y_i}} \cdot \left( \frac{\pi \cdot \sin \pi}{8} + \frac{\cos \pi}{8} + \frac{\pi^2}{8} - \frac{1}{8} \right) = \frac{4Ml^2}{\pi^2 EI_{y_i}} \cdot \frac{\pi^2}{8} = \frac{Ml^2}{2EI_{y_i}} \end{aligned} \quad (7)$$

После чего в результате суммирования и подстановки значений моментов инерции  $I_{y_i} = \frac{a \cdot b^3}{12}$   $I_{x_i} = \frac{b \cdot a^3}{12}$  получим:

$$\begin{aligned} \Delta_y &= \int_0^l \frac{M_{x_i} M_{1x_i}^h}{EI_{x_i}} dz + \int_0^l \frac{M_{y_i} M_{1y_i}^h}{EI_{y_i}} dz = \frac{Ml^2}{2EI_{x_i}} + \frac{Ml^2}{\pi^2 EI_{x_i}} + \frac{Ml^2}{2EI_{y_i}} = \\ &= \frac{Ml^2}{E} \cdot \left( \frac{1}{2I_{x_i}} + \frac{1}{\pi^2 I_{x_i}} + \frac{1}{2I_{y_i}} \right) = \frac{Ml^2}{E} \cdot \left( \frac{6}{b \cdot a^3} + \frac{12}{\pi^2 b \cdot a^3} + \frac{6}{a \cdot b^3} \right); \end{aligned} \quad (8)$$

Аналогично поступим и при вычислении перемещении в сторону оси  $Ox$ :

$$\Delta_x = \int_0^l \frac{M_{x_i} M_{1x_i}^v}{EI_{x_i}} dz + \int_0^l \frac{M_{y_i} M_{1y_i}^v}{EI_{y_i}} dz \quad (9)$$

$$\int_0^l \frac{M_{x_i} M_{1x_i}^v}{EI_{x_i}} dz = \int_0^l \frac{M \cdot (-\sin\varphi) \cdot z \cdot (-\cos\varphi)}{EI_{x_i}} dz = \int_0^l \frac{M \cdot z \cdot \sin\varphi \cdot \cos\varphi}{EI_{x_i}} dz \quad (10)$$

$$\int_0^l \frac{M_{y_i} M_{1y_i}^v}{EI_{y_i}} dz = \int_0^l \frac{M \cdot \cos\varphi \cdot z \cdot (-\sin\varphi)}{EI_{y_i}} dz = \int_0^l \frac{M \cdot z \cdot (-\sin\varphi \cdot \cos\varphi)}{EI_{y_i}} dz \quad (11)$$

$$\begin{aligned}\Delta_x &= \int_0^l \frac{M_{x_i} M_{1x_i}^v}{EI_{x_i}} dz + \int_0^l \frac{M_{y_i} M_{1y_i}^v}{EI_{y_i}} dz = \int_0^l \frac{M \cdot z \cdot \sin\varphi \cdot \cos\varphi}{EI_{x_i}} dz - \int_0^l \frac{M \cdot z \cdot \sin\varphi \cdot \cos\varphi}{EI_{y_i}} dz = \\ &= \frac{4Ml^2}{\pi^2 E} \cdot \left( \frac{1}{I_{x_i}} - \frac{1}{I_{y_i}} \right) \cdot \int_0^{\pi/2} \varphi \cdot \sin\varphi \cdot \cos\varphi d\varphi = \\ &= \frac{4Ml^2}{\pi^2 E} \cdot \left( \frac{1}{I_{x_i}} - \frac{1}{I_{y_i}} \right) \cdot \int_0^{\pi/2} \varphi \cdot \frac{\sin 2\varphi}{2} d\varphi = \frac{4Ml^2}{\pi^2 E} \cdot \left( \frac{1}{I_{x_i}} - \frac{1}{I_{y_i}} \right) \cdot \left( \frac{\varphi \cdot \cos 2\varphi}{4} + \frac{\sin 2\varphi}{8} \right) \Big|_0^{\pi/2} = \frac{4Ml^2}{\pi^2 E} \cdot \\ &\cdot \left( \frac{1}{I_{x_i}} - \frac{1}{I_{y_i}} \right) \cdot \frac{\pi}{8} = \frac{Ml^2}{2\pi E} \cdot \left( \frac{1}{I_{x_i}} - \frac{1}{I_{y_i}} \right) = \frac{Ml^2}{2\pi E} \cdot \left( \frac{12}{b \cdot a^3} - \frac{12}{a \cdot b^3} \right) \quad (12)\end{aligned}$$

полное перемещение определится формулой:

$$\begin{aligned}\Delta &= \sqrt{\Delta_y^2 + \Delta_x^2} = \\ &= \sqrt{\frac{M^2 l^4}{E^2} \cdot \left( \frac{6}{b \cdot a^3} + \frac{12}{\pi^2 b \cdot a^3} + \frac{6}{a \cdot b^3} \right)^2 + \frac{M^2 l^4}{4\pi^2 E^2} \cdot \left( \frac{12}{b \cdot a^3} - \frac{12}{a \cdot b^3} \right)^2} = \\ &= \frac{Ml^2}{E} \sqrt{\left( \frac{6}{b \cdot a^3} + \frac{12}{\pi^2 b \cdot a^3} + \frac{6}{a \cdot b^3} \right)^2 + \frac{1}{4\pi^2} \cdot \left( \frac{12}{b \cdot a^3} - \frac{12}{a \cdot b^3} \right)^2}. \quad (13)\end{aligned}$$

### Заклучение

Некоторые машинные установки и строительные конструкции содержат детали закрученной формы, которые работают в условиях силового взаимодействия с другими деталями конструкции. Такие взаимодействия могут создавать деформации этих элементов, что в свою очередь может вызывать возникновение дополнительных нормальных и касательных напряжений, которые могут превышать допустимые значения, а это может повлечь за собой разрушение детали и вывод из строя целого агрегата. Расчеты на прочность и жесткость таких деталей является актуальной задачей современной механики. Нами был произведен расчет на жесткость спирально закрученной балки, которая одним концом заделана жестко в стойке а на втором конце к нему приложен момент пары сил. С помощью формул Мора найдены перемещения свободного конца этой балки в горизонтальном и в вертикальном направлении.

### ლიტერატურა:

1. Аркуша, А.И. Техническая механика: Теоретическая механика и сопротивление материалов / А.И. Аркуша. - М.: Ленанд, 2016г. - 352 с.;
2. Атапин, В.Г. Сопротивление материалов: Учебник и практикум для академического бакалавриата / В.Г. Атапин. - Люберцы: Юрайт, 2016г. - 342 с.;
3. Ахметзянов, М.Х. Сопротивление материалов: Учебник для бакалавров / М.Х. Ахметзянов, И.Б. Лазарев. - Люберцы: Юрайт, 2015г. - 300 с.;
4. Березина, Е.В. Сопротивление материалов: учебное пособие / Е.В. Березина. - М.: Альфа-М, 2017г. - 416 с.;
5. Биргер, И.А. Сопротивление материалов / И.А. Биргер, Р.Р. Мавлютов. - М.: Ленанд, 2019г. - 560 с.;

6. Варданын, Г.С. Сопротивление материалов с основами теории упругости и пластичности: Учебник / Г.С. Варданын, В.И. Андреев, Н.М. Атаров. - М.: Инфра-М, 2016г. - 368 с.;
7. Волосухин, В.А. Сопротивление материалов: Учебник / В.А. Волосухин, С.И. Евтушенко, В. Б. Логвинов. - М.: Риор, 2016г. - 252 с.;
8. Евтушенко, С. И. Сопротивление материалов: Сборник задач с решениями: Учебное пособие / С. И. Евтушенко, Т.А. Дукмасова, Н.А. Вильбицкая. - М.: Риор, 2017г. - 126 с.;
9. Жилкин, В.А Сопротивление материалов: Учебное пособие / В.А Жилкин. - СПб.: Проспект Науки, 2015г. - 520 с.;
10. Коргин, А.В. Сопротивление материалов с примерами решения задач в системе MicrosoftExcel: Учебное пособие / А.В. Коргин. - М.: Инфра-М, 2017г. - 203 с.

## **To Define the Movement of the End of a Cantilever Beam Swirling About Its Centerline Raul Turmanidze, Zurab mdedlishvili, Lali Korganashvili**

### **Abstract**

The article discusses the calculation of the displacement of the rod pre-twisted relative to its axis of symmetry. Such rods are used in building structures and in various machine units, and need to be comprehensively investigated by methods of resistance of materials. This problem is a fundamental problem of building mechanics of machines and various building stationary structures.

### **თავისი სიმეტრიის ღერძის მიმართ დაგრეხილი კონსოლური ღეროს თავისუფალი ბოლოს გადაადგილებების განსაზღვრა რაულ თურმანიძე, ზურაბ მჭედლიშვილი, ლალი ყორღანაშვილი რეზიუმე**

სტატიაში განხილულია თავისი სიმეტრიის ღერძის მიმართ დაგრეხილი ღეროს ბოლოს გადაადგილებების განსაზღვრის ამოცანა. ასეთი ღეროები გამოიყენება სხვადასხვა სამანქანათმშენებლო და საამშენებლო კონსტრუქციებში, და საჭიროებენ ყოველმხრივ შესწავლას მასალათა გამძლეობის მეთოდებით. ეს ამოცანა წარმოადგენს მანქანათა საამშენებლო მექანიკისა და შენობების საამშენებლო მექანიკის ფუნდამენტალურ ამოცანას.

# სუპერფინიშის პროცესის ინტენსიფიკაციისას თბური მოვლენების კვლევა

ვაჟა შილაკაძე\*, ზურაბი ვატიტაძე\*\*

*\*პროფესორი, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი,*

*ელ. ფოსტა: vazhashilakadze@gmail.com;*

*\*\*საბაკალავრო პროგრამის „მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია“ II კურსის სტუდენტი,*

*ელ. ფოსტა: Vatatadzeura@gmail.com*

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას №71, 0175, თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** საყოველთაოდ ცნობილია, რომ საკისრის რგოლების სარბენი ბილიკების სუპერფინიშით დამუშავების დროს კონტაქტში წარმოქმნილი ტემპერატურა არ იწვევს დამუშავებულ ზედაპირზე სტრუქტურულ გარდაქმნებს, მაგრამ სუპერფინიშის პროცესის ინტენსიფიკაციამ, რომლის დროსაც საგრძნობლად იზრდება, როგორც დამუშავების სიჩქარე, ასევე კუთრი წნევა შესაძლებელია გამოიწვიოს კონტაქტში ტემპერატურის ისეთი ამაღლება, რომ დამუშავებულ ზედაპირზე წარმოიქმნას ფაზური და სტრუქტურული გარდაქმნები. ამიტომ სუპერფინიშის რეჟიმების ინტენსიფიკაციის დროს ტემპერატურული მოვლენების კვლევა აქტუალურია.

**საკვანძო სიტყვები:** სუპერფინიში, ინტენსიფიკაცია, ტემპერატურა, სიჩქარე, წნევა.

## ძირითადი ნაწილი

თეორიულმა და ექსპერიმენტალურმა კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ ალმასის და ელბორის ძელაკების გამოყენებით სუპერფინიშის პროცესის ინტენსიფიკაციის დროს ნაკეთობის სიჩქარე შესაძლებელია ამაღლდეს 6 მ/წმ-მდე, ხოლო კუთრი წნევა –  $20 \div 25$  კგ/სმ<sup>2</sup>-მდე, ნაცვლად ჩვეულებრივ გამოყენებულ  $1 \div 2$  მ/წმ სიჩქარისა და 10 კგ/სმ<sup>2</sup> კუთრი წნევისა.

ასეთი მნიშვნელოვანი სუპერფინიშის სიჩქარის და კუთრი წნევის გადიდებამ შეიძლება მიგვიყვანოს კონტაქტური ტემპერატურის ისეთ ამაღლებასთან რომლის დროსაც დასამუშავებელი ფენების ზედაპირზე შეიძლება წარმოიქმნას ფაზური და სტრუქტურული გარდაქმნები. ამიტომ სუპერფინიშის რეჟიმების ინტენსიფიკაციის დროს ტემპერატურული მოვლენის კვლევა აქტუალურია.

მოცემულ ნაშრომში კვლევების შედეგების მიხედვით მიღებულია კონტაქტის საშუალო ინტეგრალური ტემპერატურის განსაზღვრის მცდელობა. ამისათვის გორგოლაჭოვანი საკისრის გარე რგოლის (ტიპი 2310) სარბენი ბილიკის სუპერფინიშს აწარმოებდნენ შიგსაგეხ ჩარხზე. სუპერფინიშის ტემპერატურული ველის განსაზღვრის მიზნით გამოიყენებოდა შეუქცევადი ლუმინესცენციური თერმოინდიკატორები (თერმოსაღებავებით), ხოლო მაციებელ სითხედ: ტრიეტანოლამინი – 1,5%, გლიცერინი – 0,1%, ტექნიკური ბორაკი – 0,5% და წყალი. სუპერფინიშით დამუშავება მიმდინარეობდა ალმასის (ASM 20/14 MO18 100%), ელბორის (JIM 20 CT2 100%) და ელექტროკორუნდის (24

AM20 CM1 K5) პელაგების გამოყენებით, რომელთა რხევის ამპლიტუდა და დამუშავების დრო (15 წმ) იყო მუდმივი.

სუპერფინიშის პროცესის ტემპერატურის გასაზომად გამოიყენებოდა ლუმინესცენციური თერმოინდიკატორები შემდეგი კრიტიკული ტემპერატურებით: 45, 75, 110°C. გამხსნელად გამოიყენებოდა ქლოროფორმი 10 ÷ 15 მლ 1გრ თერმოინდიკატორზე.

იმის გამო, რომ სუპერფინიშის პროცესში თერმოინდიკატორის ჩამორეცხვა არ განხორციელდეს მაციებელი სითხის საშუალებით, ამ უკანასკნელში დამატებულია 1 ÷ 2 წვეთი წებო (БФ-2). შემდეგ კი თერმოინდიკატორის თხელი ფენით ახორციელებენ გორგოლაჭოვანი საკისრის რგოლის ტორსულ ზედაპირის დაფარვას.

ექსპერიმენტის დაწყებამდე ახორციელებენ გარე რგოლის მოშვებას, შემდეგ ჭრიან რადიალური მიმართულებით ორ ნაწილად და აწრთობენ. თვითოეული გაჭრილი რგოლის ტორსული ზედაპირი ექვემდებარება დაყვანას  $R_a = 0,01 \div 0,04$  მკმ სიმქისმდე და გაუცხიმოვნებას. ამის შემდეგ გაჭრილი რგოლის ტორსულ ზედაპირს ყოფენ სამ ზონად, რომლებსაც დაფარავენ სხვადასხვა კრიტიკული ტემპერატურის მქონე თერმოინდიკატორებით. თერმოინდიკატორების გაშრობის შემდეგ ორ ნახევარ რგოლს შეაერთებენ (იმისათვის, რომ თბიგადაცემის პირობა იყოს ერთნაირი) და აწარმოებენ სარბენი ბილიკის სუპერფინიშირებას.

როგორც ცნობილია ლუმინესცენციური თერმოინდიკატორები ულტრაიისფერი სხივების მოქმედების შედეგად აძლიერებენ ნათებას, [1] ამიტომ გამდნარი თერმოინდიკატორების მკვეთრი საზღვრის დასაფიქსირებლად საკვლევი ზედაპირი განათებულია კვარცული შუქის წყაროს საშუალებით, რომელზედაც დაყენებულია ულტრაიისფერი სხივების გასატარებელი ფილტრი УФС-2. იზომებოდა თვითოეული ზონის კრიტიკული ტემპერატურის 10 წერტილი (სულ 30 წერტილი რგოლზე) და 10 გაზომვიდან აღებულია საშუალო შედეგი. გაზომვის შემდეგ რგოლის ზედაპირი ირეცხება სპირტით, სრულდება ტორსული ზედაპირის გაუცხიმოვნება და მეორდება ხელახლა ექსპერიმენტი. უტყუარი შედეგის მისაღებად ცდებს იმეორებენ 7 ÷ 10-ჯერ. ექსპერიმენტების შედეგები მოცემულია I ცხრილში.

ცხრილი 1

| პელაგის ტექნიკური მახასიათებლები | V მ/წმ | P კუთრი წნევა კგ/სმ <sup>2</sup> | სითხის გავრცელების სიღრმე (მკმ) თერმოინდიკატორის შემდეგი კრიტიკული ტემპერატურებისას |      |      |
|----------------------------------|--------|----------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------|------|------|
|                                  |        |                                  | 110°C                                                                               | 75°C | 45°C |
| ASM 20/14MO18 100%               | 1,99   | 21                               | 80                                                                                  | 265  | 485  |
|                                  | 3,23   | 7                                | 70                                                                                  | 180  | 390  |
|                                  | 3,23   | 21                               | 105                                                                                 | 250  | 400  |
|                                  | 3,23   | 35                               | 160                                                                                 | 292  | 452  |
|                                  | 4,47   | 21                               | 140                                                                                 | 260  | 420  |
|                                  | 5,71   | 21                               | 190                                                                                 | 280  | 390  |
| ЛМ20 CT2 100%                    | 1,99   | 21                               | 100                                                                                 | 290  | 570  |
|                                  | 3,23   | 7                                | 98                                                                                  | 245  | 406  |
|                                  | 3,23   | 21                               | 137                                                                                 | 260  | 420  |
|                                  | 3,23   | 35                               | 194                                                                                 | 306  | 460  |
|                                  | 4,47   | 21                               | 162                                                                                 | 280  | 420  |

|               |      |    |     |     |     |
|---------------|------|----|-----|-----|-----|
|               | 5,71 | 21 | 213 | 290 | 400 |
| 24 AM20 CM1K5 | 1,99 | 21 | 210 | 385 | 605 |
|               | 3,23 | 7  | 182 | 338 | 545 |
|               | 3,23 | 21 | 265 | 400 | 600 |
|               | 3,23 | 35 | 345 | 485 | 668 |
|               | 4,47 | 21 | 320 | 420 | 542 |
|               | 5,71 | 21 | 375 | 460 | 570 |

საშუალო ინტეგრალური ტემპერატურა შესაძლებელია ვიპოვოთ, თუ ვიცით განხილულ პროცესში განსაზღვრულ მანძილზე კონტაქტის ზედაპირიდან ტემპერატურის მნიშვნელობა. ე. ი რგოლის ზედაპირზე ტემპერატურა

$$T_k = \frac{T - \theta \cdot T_0}{1 - \theta} \quad (1)$$

სადაც

$T_k$  – ტემპერატურაა რგოლის ზედაპირზე (ჩვენ შემთხვევაში კონტაქტის საშუალო ინტეგრალური ტემპერატურა);

$\theta$  – ფარდობითი-ჭარბი ტემპერატურა;

$T$  – წერტილის ტემპერატურა (ჩვენ შემთხვევაში ლუმინესცენციური თერმოინდიკატორების კრიტიკული ტემპერატურა).

ფორმულიდან (1) შეიძლება დავასკვნათ, რომ  $T$  და  $T_0$  სიდიდეები ცნობილია, უნდა განისაზღვროთ  $\theta$ , რომლის სიდიდე დამოკიდებულია სითბოს წყაროს მოქმედების დროზე და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულიდან

$$\theta = \operatorname{erf}\left(\frac{1}{2\sqrt{F_{ox}}}\right) \quad (2)$$

სადაც

$F_{ox}$  – კოორდინატებისთვის ფურიეს რიცხვია, რომელიც უდრის

$$F_{ox} = \frac{\alpha \cdot \tau}{x^2},$$

სადაც

$\alpha$  – დასამუშავებელი დეტალის სითბოგამტარობის კოეფიციენტი;

$\tau$  – სითბოს წყაროს მოქმედების დრო;

$x$  – მანძილი სითბოს წყაროს მოქმედების ზედაპირსა და განსახილველ წერტილს შორის (ჩვენ შემთხვევაში თერმოინდიკატორის დნობის სიღრმე).

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ სითბოს წყაროს მოქმედების დრო განვიხილოთ სუპერფინიშური ძელაკის შეჭრის პროცესი დასამუშავებელ მასალაში, როდესაც ხდება კონტაქტის ფორმირება ძელაკსა და დეტალს შორის. სითბოს წყაროს მოქმედების დრო  $\tau$  დამოკიდებულია ძელაკის B სიგანეზე და დეტალის  $\nu$  სიჩქარეზე შემდეგნაირად:

$$\tau = \frac{B}{\nu}$$

ძელაკი დასამუშავებელი დეტალის მიმართ ასრულებს რთულ მოძრაობას, რომლის კომპონენტებს წარმოადგენს იარაღის რხევითი მოძრაობა განსაზღვრული ამპლიტუდით და ნაკეთის ბრუნვითი მოძრაობა.

განვიხილოთ ტემპერატურული ველის თბურ ბალანსში ამ კომპონენტების მიერ შეტანილი წვლილი. აღსანიშნავია, რომ სასუპერფინიშ ძელაკის მცირე ზომებისა და რხევის ამპლიტუდის უმნიშვნელო სიდიდის გამო, რხევის მოძრაობის გავლენა

ტემპერატურულ ველზე შეიძლება უგულებელვყოთ. წყვილი იარაღი-დეტალი შეიძლება განვიხილოთ, როგორც უძრავი ძელაკი და V სიჩქარით მბრუნავი ნაკეთობა.

დეტალის ზედაპირულ ფენებში ტემპერატურული ველი წარმოიქმნება ტემპერატურული იმპულსების დადებით დროის იმ მონაკვეთში, როდესაც დასამუშავებელი რგოლის წერტილი იმყოფება კონტაქტში სუპერფინიშის ძელაკთან. წერტილის გამოსვლისას ძელაკიდან ის ექვემდებარება გაციებას და ისევ უბრუნდება ძელაკს.

აღსანიშნავია, რომ სუპერფინიშირების დროს დასამუშავებელ დეტალთან კონტაქტში იღებს მონაწილეობას მოძრაობის მიმართულებით ერთ რიგში განლაგებული აბრაზიული მარცვლები ე.ი. მჭრელი წიბოს ჯამური სიგანე.

აქედან გამომდინარე ვიცით რა სუპერფინიშის მარცვლოვანება Z, მისი სიგანე B და მარცვლებს შორის საშუალო მანძილი l შეიძლება გავიანგარიშოთ ძელაკის მჭრელი წიბოს ფაქტიური ჯამური სიგანე

$$B_{\phi} = \frac{B \cdot \eta}{(Z+l)} \cdot Z \quad (3)$$

სადაც  $\eta$  – ჭრაში მონაწილე მარცვლების რაოდენობაა (აღმასისა და ელბორისათვის  $\eta = 7\%$ , ხოლო ელექტროკორუნდისათვის  $\eta = 16\%$  [2].

სუპერფინიშირებით სხვადასხვა რეჟიმებზე დამუშავებისას მოცემულია (ცხრილი 2) საშუალო ინტეგრალური ტემპერატურა კონტაქტის ზონაში.

ცხრილი 2

| ძელაკის<br>მარკა | V<br>მ/წმ | $P_{კ.წმ}$<br>$\frac{კმ}{სმ^2}$ | $F_{ox} \text{ }^{\circ}C$ |                 |                 | $\theta \text{ }^{\circ}C$ |                 |                 | $T_k \text{ }^{\circ}C$ |                 |                 | $T$<br>$^{\circ}C$ |
|------------------|-----------|---------------------------------|----------------------------|-----------------|-----------------|----------------------------|-----------------|-----------------|-------------------------|-----------------|-----------------|--------------------|
|                  |           |                                 | 110 <sup>0</sup>           | 75 <sup>0</sup> | 45 <sup>0</sup> | 110 <sup>0</sup>           | 75 <sup>0</sup> | 45 <sup>0</sup> | 110 <sup>0</sup>        | 75 <sup>0</sup> | 45 <sup>0</sup> |                    |
| ACM 20/14        | 1,99      | 21                              | 13,25                      | 1,20            | 0,36            | 0,15                       | 0,46            | 0,76            | 126                     | 123             | 124             | 124                |
|                  | 3,23      | 7                               | 10,81                      | 1,63            | 0,34            | 0,17                       | 0,41            | 0,77            | 128                     | 126             | 129             | 127                |
|                  | 3,23      | 21                              | 4,80                       | 0,85            | 0,33            | 0,25                       | 0,54            | 0,79            | 140                     | 140             | 143             | 141                |
|                  | 3,23      | 35                              | 2,00                       | 0,62            | 0,26            | 0,38                       | 0,63            | 0,83            | 165                     | 168             | 167             | 166                |
|                  | 4,47      | 21                              | 2,16                       | 0,63            | 0,24            | 0,37                       | 0,61            | 0,82            | 163                     | 161             | 159             | 161                |
|                  | 5,71      | 21                              | 0,88                       | 0,41            | 0,21            | 0,53                       | 0,72            | 0,87            | 212                     | 216             | 213             | 213                |
| JIM20 CT         | 1,99      | 21                              | 8,0                        | 1,00            | 0,26            | 0,20                       | 0,50            | 0,79            | 133                     | 130             | 139             | 134                |
|                  | 3,23      | 7                               | 5,5                        | 0,88            | 0,32            | 0,24                       | 0,55            | 0,79            | 138                     | 142             | 139             | 139                |
|                  | 3,23      | 21                              | 2,8                        | 0,78            | 0,30            | 0,32                       | 0,58            | 0,80            | 153                     | 151             | 145             | 150                |
|                  | 3,23      | 35                              | 1,4                        | 0,56            | 0,25            | 0,43                       | 0,65            | 0,84            | 178                     | 179             | 176             | 177                |
|                  | 4,47      | 21                              | 1,6                        | 0,54            | 0,24            | 0,45                       | 0,66            | 0,82            | 184                     | 182             | 182             | 184                |
|                  | 5,71      | 21                              | 0,7                        | 0,38            | 0,19            | 0,60                       | 0,75            | 0,89            | 245                     | 240             | 247             | 244                |
| 24 AM 20         | 1,99      | 21                              | 2,40                       | 0,71            | 0,29            | 0,35                       | 0,60            | 0,81            | 158                     | 157             | 152             | 153                |
|                  | 3,23      | 7                               | 2,56                       | 0,74            | 0,28            | 0,34                       | 0,59            | 0,81            | 156                     | 154             | 155             | 155                |
|                  | 3,23      | 21                              | 1,20                       | 1,60            | 0,24            | 0,47                       | 0,45            | 0,82            | 189                     | 184             | 187             | 187                |
|                  | 3,23      | 35                              | 0,71                       | 0,36            | 0,19            | 0,60                       | 0,76            | 0,89            | 245                     | 249             | 247             | 247                |
|                  | 4,47      | 21                              | 0,52                       | 0,30            | 0,18            | 0,68                       | 0,80            | 0,01            | 301                     | 295             | 297             | 298                |
|                  | 5,71      | 21                              | 0,30                       | 0,20            | 0,13            | 0,80                       | 0,88            | 0,94            | 470                     | 478             | 475             | 474                |

### დასკვნა

ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ალმასის და ელბორის ძელაკებით სუპერფინიშირების რეჟიმების ინტენსიფიკაციით ტემპერატურა კონტაქტში არ აღწევს მაღალ მნიშვნელობებს, რომლის დროსაც შესაძლებელია წარმოიქმნება ფაზური და სტრუქტურული გარდაქმნები.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Ардашева М. М., Григорьева В. И., Первушин Г. Е., Подгорная Л. М., Исследование люминесцентных термоиндикаторов для аэродинамического эксперимента, ученые записи ЦАГИ, т. VII, 1976, №6;
2. Маслов Е. Н. Теория шлифования металлов. М., „Машиностроение“, 1974.

### STUDY OF THERMAL PHENOMENA DURING THE INTENSIFICATION OF THE SUPERFINISHING PROCESS

Vazha Shilakadze, Zurabi Vatitadze

#### Abstract

It is well known that the temperature generated during the superfinishing of bearing raceways does not typically cause structural transformations on the treated surface. However, when the superfinishing process is intensified—marked by significant increases in both processing speed and specific pressure—the resulting rise in contact temperature can lead to phase and structural transformations on the treated surface. Therefore, during the intensification of superfinishing regimes, the average integral contact temperature was determined.

### ИССЛЕДОВАНИЕ ТЕПЛОВЫХ ЯВЛЕНИЙ ПРИ ИНТЕНСИФИКАЦИИ ПРОЦЕССА СУПЕРФИНИШИРОВАНИЯ

Важа Шилакадзе, Зураби Ватитадзе

#### Резюме

Известно, что температура, возникающая в контакте при суперфинишной обработке дорожек качения подшипников, не вызывает структурных превращений на обработанной поверхности, однако интенсификация процесса суперфинишной обработки, при которой существенно возрастают как скорость обработки, так и удельное давление, может вызвать такое повышение температуры в контакте при которых в поверхностных слоях обрабатываемого материала могут произойти фазовые и структурные превращения. Поэтому измерение температурных явлений в контакте при интенсификации режимов суперфинишной обработки является актуальным.

## საკისრების რგოლების ფინიშური დამუშავების და ბაზირების მეთოდების ანალიზი

ვაჟა შილაკაძე\*, საბა ჩახაია\*\*

*\*პროფესორი, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი,*

*ელ. ფოსტა: vazhashilakadze@gmail.com;*

*\*\*საბაკალავრო პროგრამის „მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია“ III კურსის სტუდენტი,*

*ელ. ფოსტა: chakhaia.saba22@gtu.ge*

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას №71, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** დაბალი სიზუსტის კლასის კონსტრუქციული საკისრების სარბენი ბილიკების დაყვანისას გამოიყენება აბრაზიული ზუმფარით დამუშავება, ვინაიდან აღნიშნული მეთოდი უზრუნველყოფს მასიური ტიპის საკისრების სარბენი ბილიკების დამუშავების დამაკმაყოფილებელ ხარისხს შედარებით დაბალი შრომატევადობით. სუპერფინიშის პროცესის გამოყენება მნიშვნელოვნად ამაღლებს საკისრების რგოლების დაყვანის ხარისხს, ხოლო პროცესის ეფექტურობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ძელაკის მახასიათებლების სწორ შერჩევაზე. დაყვანის პროცესში მნიშვნელოვანი ფაქტორია რგოლების ბრუნვის ღერძის მიმართ დაყენების სიზუსტე. შიგა რგოლების ბაზირებისათვის გამოყენებული სარგულა (ცანგა) და გარე რგოლებისათვის (ვაზნა) ვერ უზრუნველყოფენ მუშა ზედაპირების ამაღლებულ მოთხოვნებს სიზუსტეზე. ხისტ საყრდენებზე რგოლების დაყვანის მნიშვნელოვანი ნაკლია საბაზო ზედაპირების ცდომილების კოპირება, რგოლების დამაგნიტება და დაყვანის ხარისხის შემცირება. საკისრის რგოლების წინასწარი ჰიდრო ან აეროსტატიკური ცენტრირებით და შემდეგ მათ ტორსზე მექანიკური მიჭერის გამოყენებით თავიდან არის აცილებული ზემოთ ხსენებული ნაკლოვანებები.

**საკვანძო სიტყვები:** სუპერფინიში, ძელაკი, საკისარი, სარბენი ბილიკი, დაცენტრება, ბაზირება.

### ძირითადი ნაწილი

ნულიდან ორი კლასის სიზუსტის ყველა კონსტრუქციული ჯგუფების საკისრების სარბენი ბილიკების დაყვანას აჭარბებს აბრაზიული ზუმფარით დამუშავება. მიუხედავად ამ პროცესის ცნობილი ნაკლისა, აღნიშნული მეთოდი უზრუნველყოფს მასიური ტიპის საკისრების რგოლების სარბენი ბილიკების დამუშავების დამაკმაყოფილებელ ხარისხს, შედარებით დაბალი შრომატევადობის უზრუნველყოფით. სუპერფინიშის პროცესის გამოყენება საკისრების რგოლების დაყვანის ხარისხს მნიშვნელოვნად ამაღლებს. აღსანიშნავია, რომ სასუპერფინიშე ჩარხების ღირებულება საკმაოდ მაღალია, ხოლო მათი მწარმოებლობა დაბალია აბრაზიული ზუმფარით დასაყვან ჩარხებთან შედარებით. ამიტომ საკისრის რგოლების სარბენი ბილიკების ფინიშური დამუშავება მეექვსე კლასის სიზუსტემდე უნდა წარმოებდეს მაღალი ხარისხის ავტომატიზაციის მქონე ფინიშურ

ჩარხებზე აბრაზიული ძეღაჰით, ზოლო მადალი სიზუსტის საკისრების კი სუპერფინიშის მეთოდით [1].

სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორს დაყვანის პროცესში წარმოადგენს რგოლების დაყენების ბაზირების სიზუსტე ბრუნვის ღერძის მიმართ. ძირითადად შიგა რგოლების ბაზირებისათვის გამოიყენება სარგულა (ცანგა), ზოლო გარე რგოლებისათვის – ვაზნა, რომელებიც ვერ უზრუნველყოფენ მუშა ზედაპირების ამაღლებულ მოთხოვნებს სიზუსტეზე, პირველ რიგში ეს ეხება საკისრების გარე რგოლების დაყვანას, რადგან მოჭერის დროს გარე რგოლი განიცდის მნიშვნელოვან დეფორმაციას. მიუხედავად ამისა მასიური წარმოების პირობებში ასეთი მეთოდით ბაზირება საკისრების რგოლების სიზუსტის მეექვსე კლასამდე დაყვანის საშუალებას იძლევა.

ხისტ საყრდენებზე რგოლების დაყვანის მეთოდის გამოყენებას ასევე გააჩნია მნიშვნელოვანი ნაკლი. პირველ რიგში საბაზო ზედაპირის ცდომილების კოპირება; მეორე რიგში რგოლების დამაგნიტება და დაყვანის ხარისხის შემცირება, რომელიც განპირობებულია შლამის მოხვედრით, როგორც დამუშავების ზონაში ასევე რგოლის ტორსულ ზედაპირზე. გარდა ამისა ამ მეთოდით რგოლების საბაზო ზედაპირების დამუშავებას წაეყენება უფრო მადალი სიზუსტის მოთხოვნები.

საკისრის რგოლების სპეციალურ სარგულაზე ბაზირებით, ან ვაზნაში რგოლის წინასწარი ჰიდრო ან აეროსტატიკური ცენტრირებით და შემდეგ მათ ტორსზე მექანიკური მიჭერის გამოყენების შედეგად თავიდან იქნება აცილებული ზემოთ ხსენებული ნაკლოვანებები და შესაძლებელი იქნება რგოლის რადიალური ცემის შემცირება  $1 \div 4$  მკმ-მდე ნაშაადის საწყისი სიზუსტისგან დამოკიდებულებით. დაცენტრების შემდეგ რგოლების გადანაცდენის გამოსარიცხავად, ტორსზე მიჭერის ღერძული ძალა უნდა აღემატებოდეს დაყვანის პროცესში მოქმედ რადიალურ ძალას.

ჰიდრო-აეროსტატიკური დაცენტრების მეთოდის გამოყენების გამოცდილებამ აჩვენა საკისრის რგოლების ამ მეთოდებით ბაზირების პერსპექტიულობა, რომლის გამოყენებით შესაძლებელია სარბენი ბილიკების სუპერფინიში აბრაზიული ზუმფარის და ძეღაკის საშუალებით ნული და ორი სიზუსტის კლასის საკისრებისათვის.

სუპერფინიშირების სიზუსტე დამოკიდებულია იგივე ფაქტორებზე, რა ფაქტორებიც მოქმედებს აბრაზიული ზუმფარით დაყვანისას. გარდა ამისა აღნიშნული პროცესით დამუშავების სტაბილურობა ბევრად არის დამოკიდებული იარაღის მახასიათებელზე უპირველეს ყოვლისა ძეღაკის სისაღზე. ძეღაკის სისაღის არაერთგვაროვნება, როგორც პარტიაში ისე ერთი ძეღაკის სხდასხვა კვეთებში, წარმოადგენს დამუშავებული ზედაპირის სიმჭისის გადიდების ძირითად მიზეზს. სისაღის ამაღლებით ოპტიმალურთან შედარებით მცირდება დასამუშავებელ დეტალზე მოხსნილი ფენის სისქე და შესაბამისად იზრდება სიმჭისე ძეღაკის გაგლესვის გამო. სისაღის შემცირებით დამუშავების დადგენილ პერიოდში ამაღლებულია ძეღაკის ცვეთის ინტენსიობა, რის შედეგადაც გაზრდილია დამატებითი დრო, რომელიც საჭიროა გაცვეთილი ძეღაკის ხშირი გამოცვლისათვის და რგოლის დასამუშავებელ ზედაპირის პროფილთან მიმუშავებისათვის.

სასუპერფინიშე ძეღაკს ერთი ოპერაციის შესრულების დროს წარედგინება საწინააღმდეგო მოთხოვნა: დამუშავების დასაწყისში ძეღაკს უნდა ჰქონდეს შედარებით მადალი ჭრის უნარი თვითაღლესვის გამო, რათა მოხსნას ხეხვის შედეგად მიღებული დეფექტური ფენა, მოცემული მწარმოებლობის პირობების და ძეღაკის ზომიერი ცვეთის გათვალისწინებით და ბოლოს – დამუშავებულ ზედაპირზე დაბალი სიმჭისის მიღება ძეღაკის

დაბლაგვებული მჭრელი კონტურის ნაწილობრივ თვითაღესვის შედეგად. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესის სტაბილურობა მთლიანად დამოკიდებულია აბრაზიული იარაღის ხარისხზე ე. ი. სისაღზე, სიმკვრივეზე და პარტიაში თვითოეული ძელაკის ერთგვაროვნებაზე. ექსპერიმენტალურად დადგენილია, რომ ერთ ოპერაციად სუპერფინიშირების დროს ამ მოთხოვნებს ძელაკების 30% არ აკმაყოფილებს. ეს კანონზომიერია, რადგან პარტიაში შესაძლებელია განსხვავებული იყოს ძელაკის სისაღის მარკირება მის რეალურ სისაღესთან შედარებით, როგორც შემცირების ასევე გადიდების მხარეს, ხოლო დადგენილი სუპერფინიშირების რეჟიმით შეუძლებელია აღნიშნული ხარვეზების კონპენსირება.

დასამუშავებელი ზედაპირის სიმქისე სუპერფინიშირების პროცესში განაპირობებს ძელაკის თვითაღესვას და ლითონის ფენის მოხსნის ინტენსიფიკაციას. ამასთანავე, რაც მაღალია საწყისი სიმქისე, მით უფრო სწრაფად მიმდინარეობს ძელაკის მიმუშავება დასამუშავებელი ზედაპირის პროფილთან და ინტენსიურია ლითონის ფენის მოხსნა. აღსანიშნავია, რომ მაქსიმალური სიდიდე საწყისი სიმქისისა არ უნდა აღემატებოდეს  $0,50 \div 0,63$  მკმ იმ მიზნით, რომ გამოირიცხოს რგოლების პროფილის დამახინჯების შესაძლებლობა მოცემულ ოპერაციაზე.

ორ ოპერაციად სუპერფინიშირება სხვადასხვა მახასიათებლების ძელაკებით, იარაღის ამა თუ იმ ფაქტიური გადახრების შემთხვევაში, საშუალებას იძლევა უფრო ეფექტურად მოხდეს აბრაზიული იარაღის შესაძლებლობის რეალიზაცია და დამუშავების ხარისხის სტაბილიზაცია, დამუშავების რეჟიმების ოპტიმიზაციის ხარჯზე. ამავე დროს იზრდება საერთო მოხსნის ფენის სიდიდე ერთი ძელაკით დაყვანასთან შედარებით. აქედან გამომდინარე შესაძლებელია დიდი სიმქისის მქონე რგოლების დამუშავება, რაც განსაკუთრებით მთავარია მასიური წარმოების პირობებში.

სუპერფინიშირის პროცესი შემუშავებული უნდა იქნეს ისე, რომ შავად დამუშავების დროს მოიხსნას დეფექტური ფენა მაქსიმალური მწარმოებლობის პირობებში, უზრუნველყოფილი იქნეს სარბენი ბილიკის ფორმის და განივი პროფილის მინიმალური გადახრა, ხოლო სასუფთაო დამუშავებისას – მოცემული სიმქისე და მუშაობის უნარიანი (უდეფექტო) სარბენი ბილიკის ზედაპირული ფენა.

მიუხედავად სხვადასხვა მარცვლოვანების ძელაკის ორ ეტაპიანი სუპერფინიშირის პროცესისა ლითონის საერთო მოხსნილი ფენა არ აღემატება  $10 \div 12$  მკმ-ს. ამას განაპირობებს წვრილმარცვლოვანი ძელაკის უმნიშვნელო ჭრის უნარი სასუფთაო ოპერაციის დროს, რადგან მეორე ეტაპზე დასამუშავებელი ზედაპირი შედარებით დაბალი სიმქისისაა რაც იწვევს ძელაკის შეზღუდულ თვითაღესვას.

ამრიგად, სუპერფინიშირის ეფექტურობა დამოკიდებულია საკისრის სარბენი ბილიკების ზედაპირების საწყის სიმქისეზე.

ჩატარებულმა კვლევებმა [2] გვიჩვენა, რომ აღმასის იარაღით რკინანახშირბადოვანი ფოლადების ოპტიმალური სიჩქარეებით  $120 \div 360$  მ/წთ დამუშავების დროს უზრუნველყოფილია მაღალი მედეგობა. აღსანიშნავია, რომ სუპერფინიშირების სიჩქარის და ამავე დროს აბრაზიული ძელაკის ორმაგი სვლათა რიცხვის გაზრდით მიღწეულ იქნა უფრო მეტი დამუშავების ინტენსიობა. დადგენილია, რომ ძელაკის ორმაგი სვლათა სიხშირე ( $3000$  ორმაგი სვ/წთ) და რხევის  $0,5 \div 1,5$  მმ ამპლიტუდა წარმოადგენს ოპტიმალურს, რადგან ამ პარამეტრების გათვალისწინებით შემუშავებული სუპერფინიშირის თავი (სადაც დამუშავების პროცესზე ინერციული ძალების გავლენის

შემცირების გამო მინიმუმამდე იქნა დაყვანილი ძელაკის დამჭერი მასა) უზრუნველყოფს მუშაობის სტაბილურ პირობას.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ სუპერფინიშირების სიჩქარის გაზრდა ხელს უწყობს ტალღოვნების ამპლიტუდის შემცირებას, როგორც ჩანს ძელაკი ვეღარ მიეცემა ტალღის ფორმას, ამიტომ იხსნება მათი პიკები და მცირდება ტალღოვნება, რაც არსებითად გამოიხატება კონტაქტის ზონაში კუთრი წნევის გაზრდის დროს.

სუპერფინიშის შედარებით მაღალი სიჩქარის შეხამება, აბრაზიული ძელაკის რხევის მაღალ სიხშირესთან და მაღალ კუთრ წნევასთან საშუალებას იძლევა გავზარდოთ მოხსნილი ფენის სიდიდე, შევამციროთ საწყისი ტალღოვნების ამპლიტუდა და უზრუნველვყოთ მაღალი მწარმოებლობა.

სუპერფინიშირების პროცესის ეფექტურობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ძელაკის მახასიათებლების და რაციონალური რეჟიმების სწორ შერჩევაზე. ამ მიზნით იყო ჩატარებული ექსპერიმენტები ალმასური ძელაკის რაციონალური მახასიათებლების შერჩევისათვის სხვადასხვა ჭრის რეჟიმებზე და წნევებზე. უფრო რაციონალური გამოდგა MO18 ლითონურ შემკვრელზე დამზადებული ალმასის ძელაკები 100%-იანი კონცენტრაციით და  $20 \div 14$  მკმ მარცვლოვანებით [3].

სარბენი ბილიკების სუპერფინიშით დამუშავებას აწარმოებენ შეჭრით და გრძივი მიწოდებით.

შეჭრით მიწოდება გამოიყენებოდა ორბორტიანი რგოლების სარბენი ბილიკების დამუშავების დროს, ხოლო უბორტო რგოლები მუშავდებოდა გრძივი მიწოდებით.

საკისრის რგოლების სარბენი ბილიკების შეჭრით მიწოდებით დამუშავებისას სარბენი ბილიკის ზედაპირის ჩაზნექილობის (წუნის) თავიდან ასაცილებლად შერჩეული იყო ძელაკის რაციონალური პროფილის ფორმა, რომელსაც ჰქონდა განიერი ბოლოები და ვიწრო შუა ზონა, რადგან უზრუნველყოფილიყო სარბენი ბილიკის ბოლოებზე უფრო მეტი ფენის მოხსნა, რაც გარანტირებულად მოგვცემდა სარბენი ბილიკების სწორხაზოვნებას, ან  $0 \div 3$  მკმ სიდიდის კასრისებურებას.

მოცემულია (ცხრილი 1) სიჩქარის გავლენა მოსახსნელ ფენაზე, სიმქისეზე და ტალღოვნებაზე (ცდები ჩატარებული იყო 2310 სერიის გორგოლაჭოვანი საკისრის გარე რგოლზე).

ცხრილი 1

| სუპერფინიშირების სიჩქარე, მ/წთ |                     | დიამეტრზე მოხსნილი ფენა | დამუშავებული ზედაპირის სიმქისე, $R_a$ | ტალღოვნება  |
|--------------------------------|---------------------|-------------------------|---------------------------------------|-------------|
| შავად დამუშავება               | სასუფთაო დამუშავება | მკმ                     | მკმ                                   | მკმ         |
| 90                             | 270 ÷ 330           | 8 ÷ 14                  | 0,16 ÷ 0,20                           | 0,60 ÷ 1,15 |
| 120                            |                     | 10 ÷ 16                 | 0,125 ÷ 0,20                          | 0,35 ÷ 0,95 |
| 150                            |                     | 14 ÷ 22                 | 0,063 ÷ 0,10                          | 0,20 ÷ 0,35 |
| 180                            |                     | 14 ÷ 20                 | 0,063 ÷ 0,10                          | 0,10 ÷ 0,20 |
| 210                            |                     | 12 ÷ 18                 | 0,08 ÷ 0,125                          | 0,25 ÷ 0,55 |
| 240                            |                     | 10 ÷ 16                 | 0,125 ÷ 0,20                          | 0,45 ÷ 0,85 |
| 270                            |                     | 7 ÷ 12                  | 0,125 ÷ 0,20                          | 0,65 ÷ 1,05 |

სუპერფინიშირება სრულდება ორი გადასვლით. შავად დამუშავების დროს იხსნებოდა მოსახსნელი ფენის  $80 \div 90\%$  და მიიღებოდა სიმქისე  $R_a = 0,125 \div 0,20$  მკმ, ხოლო სასუფთაო დამუშავებისას იხსნებოდა დანარჩენი  $10 \div 20\%$ , სიმქისე კი მცირდებოდა  $R_a = 0,063 \div 0,10$  მკმ-მდე. მთელი ეს პროცესი მიმდინარეობდა დროის მცირე მონაკვეთში, ამიტომ კუთრი წნევა  $1,8 \div 2,0$  მგპა იყო მუდმივი.

პირველი გადასვლის შემდეგ ცხრილში მოცემული თითქმის ყველა სიჩქარეზე დამუშავებული ზედაპირის სიმქისე მიიღება  $R_a = 0,16 \div 0,32$  მკმ, როდესაც საწყისი სიმქისე  $R_a = 0,4 \div 0,1$  მკმ-ს.

აღსანიშნავია, რომ თუ დასამუშავებელი დეტალების პარტიაში იყო რგოლები  $R_a = 0,25 \div 0,32$  მკმ სიმქისით, მაშინ ოპტიმალურ სიჩქარეებზე შავად სუპერფინიშირების შემდეგ სიმქისე  $R_a = 0,16 \div 0,20$  მკმ-ზე ნაკლები არ მიიღება, ხოლო მოხსნილი ფენის სიდიდე დიამეტრზე მერყეობდა  $8 \div 15$  მკმ-ის ფარგლებში. ამასთანავე შეიმჩნეოდა, რომ რაც ნაკლები იყო დასამუშავებელი ზედაპირის სიმქისე, მით ნაკლები იყო მოსახსნელი ფენა, ხოლო ერთი და იგივე სიმქისის შემთხვევაში რაც უფრო დიდი იყო ტალღოვნება, მით უფრო მეტი იყო მოხსნილი ფენა.

დამუშავებული ზედაპირის სიმქისის  $R_a = 0,08 \div 0,10$  მკმ-მდე, შესამცირებლად სუპერფინიშის პროცესის დროს გათვალისწინებულია სასუფთაო დამუშავება უფრო მაღალ სიჩქარეზე.

როგორც ცხრილიდან ჩანს, დიამეტრზე  $14 \div 22$  მკმ-ის მოხსნილ ფენას, დამუშავებული ზედაპირის  $R_a = 0,063 \div 0,125$  მკმ სიმქისეს და  $0,1 \div 0,2$  მკმ ტალღოვნებას უზრუნველყოფს სუპერფინიშირების შემდეგი რეჟიმები:  $150 \div 180$  მ/წთ შავად სუპერფინიშირება, დამუშავების ხანგრძლივობა  $7 \div 8$  წმ; სასუფთაო სუპერფინიშირება  $270 \div 330$  მ/წთ, დამუშავების ხანგრძლივობა  $3 \div 5$  წმ; ძელაკის რხევის ამპლიტუდა  $0,8 \div 1,0$  მმ; კუთრი წნევა  $1,8 \div 2,0$  მპა, მუდმივია, რადგან შავად და სუფთად დამუშავება მიმდინარეობს დროის მცირე მონაკვეთში.

## დასკვნა

მაღალი სიზუსტის კლასის საკისრების სარბენი ბილიკების სუპერფინიშირება ხორციელდება ჰიდრო ან აეროსტატიკური მეთოდით წინასწარ ცენტრირებულ საკისრების რგოლებზე რაციონალური ფორმის ალმასური ძელაკით (ACM 20/14 MO18 100%). სუპერფინიშის პროცესი შესრულებულია ორი გადასვლით: შავად დამუშავების დროს ( $7 \div 8$  წმ) იხსნება მოსახსნელი ფენის  $80 \div 90\%$  და მიიღება სიმქისე  $R_a = 0,125 \div 0,20$  მკმ, ხოლო სასუფთაო დამუშავებისას ( $3 \div 5$  წმ) დანარჩენი  $10 \div 20\%$ , სიმქისე კი მცირდება  $R_a = 0,063 \div 0,10$  მკმ-მდე. ძელაკის რხევის ამპლიტუდაა  $0,8 \div 1,0$  მმ. ორივე გადასვლა მიმდინარეობს დროის მცირე მონაკვეთში, ამიტომ კუთრი წნევა ( $1,8 \div 2,0$  მგპა) არის მუდმივი.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Мазальский В.Н., Суперфинишные станки, – Л.: Машиностроение, 1988, 127 с.;
2. Лоладзе Т. Н., Бокучава Г. В., Износ алмазов и алмазных кругов, Машиностроение, 1967г. №1;

რაც შეეხება საქართველოს, ჯერ ამ გზის დასაწყისში ვართ. თანამედროვე ქართულ ბიზნესში არაა ფორმირებული სრულფასოვანი წარმოდგენა იმ მიზნებს, არსსა და ეფექტურობაზე, რომელის მოხდენაც მომავალ ნაკეთობებზე ინდუსტრიული დიზაინის ზემოქმედებითაა შესაძლებელი.

მიგვაჩნია, რომ ინდუსტრიული დიზაინის დარგის პოპულარიზაციასა და განვითარებისათვის მნიშვნელოვან ნაბიჯს სხვადასხვა ღონისძიებებითა და გამოფენებით ფართო აუდიტორიის სრულფასოვანი ინფორმირება და სხვადასხვა ფორმატის საგანმანათლებლო პროგრამების ფორმირება და დანერგვა წარმოადგენს.

საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით სტუდენტებს საშუალება ექნებათ გაეცნონ ინდუსტრიული დიზაინის თანამედროვე მიმართულებებს. ნაკეთობის პროექტირების, პროტოტიპების შექმნისა და მოდელირებით მიიღებენ ცოდნას თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძლებლობებზე. გაივლიან პროდუქციის შექმნის ყველა ეტაპს - პირველდაწყებითი კვლევიდან - მასშტაბურ პროტოტიპების შექმნამდე. სასწავლო პროგრამები მაქსიმალურად უნდა იყოს ორიენტირებული თანამედროვე კომერციულ გამოწვევებზე.

დარგის მნიშვნელოვან ბონუსად შესაძლებელია ჩაითვალოს ის გარემოება, რომ დღევანდელ რეალობებში, სპეციალისტის კონკრეტულ ადგილთან, ქალაქთან ან

ქვეყანასთან მიზმა აღარაა საჭირო. თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით ამ სფეროში შესაძლებელია დისტანციურად მუშაობა. ამიტომ, მაშინაც კი, თუ დიზაინერი თბილისში ინდუსტრიული დიზაინით არის დაკავებული და საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყნიდან დამკვეთი სთავაზობს მას შეკვეთას, ამ სამუშაოს შესრულება და დამკვეთთან კომუნიკაცია პრობლემა აღარაა.

მნიშვნელოვანია ის, რომ თუ ჩვენი ქვეყნის სოციალური ეკონომიკა სამომავლოდ ინდუსტრიულ დიზაინს აღიქვამს როგორც კონკურენტუნარიანი პროდუქციის შესაქმნელ ინსტრუმენტს, მაშინ ამ სფეროს განვითარებას დიდი მომავალი აქვს. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გვყავს. უახლოეს მომავალში, დარგის სწორად განვითარების შემთხვევაში, შესაძლებელია საქართველო ინდუსტრიული დიზაინის განვითარების ახალი მიზიდულობის წერტილად იქცეს.

#### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Генри Дрейф. (2024) Дизайн для людей. Принципы промышленного дизайна. питер.
3. <https://www.homeis.ge/thazo-arunashvili/>
4. <https://trends.rbc.ru/trends/social/636029719a7947159ea7e68c>
5. <https://icsid.worldbank.org>

#### Промышленный дизайн, его место и роль в современном обществе

Мзия Милашвили, Валерий Мchedlishvili

##### Резюме

В статье рассматриваются место, роль и цель промышленного дизайна, сферы производства функционально-эстетических изделий - создание эстетического предметного мира и его интеграция в экономико-потребительский контекст. Промышленный дизайн обеспечивает баланс между конструктивным исполнением и эстетикой изделия, его результат базируется на новейших промышленных технологиях и является воплощением идей создателя и инженера. Эта сфера затрагивает все сферы жизни человека, что обуславливает повышенный спрос на специалистов. Подтверждением этому является появление образовательных программ за рубежом не только в области дизайна и архитектуры, но и в инженерных вузах. В Грузии мы только в начале пути. В современном грузинском бизнесе мало кто понимает, каких эффектов можно добиться с помощью дизайна. Мы считаем, что важной задачей популяризации отрасли является правильное информирование общественности.

#### Industrial design, its place and role in modern society

Mzia Milashvili, Valery Mchedlishvili

##### Abstract

The article examines the place, role and purpose of industrial design, the sphere of production of functional and aesthetic products - the creation of an aesthetic world of objects and its integration into the economic and consumer context. Industrial design provides a balance between the design and aesthetics of the product, its result is based on the latest industrial technologies and is the embodiment of the ideas of the creator and engineer. This area affects all spheres of human life, which causes an increased demand for specialists. This is confirmed by the emergence of educational programs abroad not only in the field of design and architecture, but also in engineering universities. In Georgia, we are only at the beginning of the journey. In modern Georgian business, few people understand what effects can be achieved with the help of design. We believe that an important task of popularizing the industry is to properly inform the public.

## Selection of effective and cost-effective options for changing the vessel's course, taking into account navigation conditions

Otar Jijavadze\*, Natalia Jijavadze\*\*, Amiran Jijavadze\*\*\*

*\*Professor of BSMA, Chief Engineer, E\_mail: o.jijavadze@bsma.edu.ge;*

*\*\*Head of Quality Assurance Service at the Navigation Faculty of BSMA,*

*E\_mail: [n.jijavadze@bsma.edu.ge](mailto:n.jijavadze@bsma.edu.ge)*

*\*\*\*Captain, E\_mail: [amiran.jijavadze@mail.ru](mailto:amiran.jijavadze@mail.ru)*

**Abstract:** According to the International Regulations for Preventing Collisions (COLREG 1972), when there is a risk of collision between vessels, early and decisive action must be taken to avoid it. Any change of course and/or speed must be significant enough to be readily observed by other vessels and must be in accordance with good seamanship. A series of small changes of course or speed should be avoided as they may be ineffective. The problem of choosing maneuvers to prevent collisions of vessels always remains relevant. The aim of the study is to develop algorithms for the automatic mode of vessel navigation along a given route that allow promptly adjusting the route of passage to prevent excessive proximity to vessels and obstacles, assessing the safety of movement along the changed route and choosing an effective route correction option. Two methods are proposed for prompt route correction: parallel displacement of the active section of the route and insertion of a waypoint. To test the effectiveness of the proposed methods, a simulation model of vessel navigation along a given trajectory in the presence of moving targets was compiled, allowing promptly adjusting the route in the manner discussed above to pass the targets. Analysis of many divergence situations using this program showed that the proposed methods provide an easy way to select effective route correction options for passing several vessels and allow taking into account the presence of navigational hazards in the area of movement. The choice of the divergence maneuver and its execution are made in the automatic vessel navigation mode along the route and do not require switching to manual vessel control mode.

**Keywords:** Vessel, Course, Obstacle, Maneuver, Navigation.

A large number of works are devoted to the problem of choosing maneuvers to prevent collisions of vessels. Their results are reflected to a certain extent in publications [1, 3, 4]. Currently, multipurpose systems for route planning, situation assessment and vessel navigation are being developed for vessels. In them, the vessel is controlled by a navigation and information system (NIS). In the control mode, it should allow promptly and easily adjusting the planned route of passage on the electronic card (EC) to avoid a collision with an obstacle or a vessel, simply assessing the effectiveness of the planned measures based on the image on the EC, activating them from the EC module, and monitoring the process of vessel movement along the changed route. The purpose of the study is to develop algorithms for the automatic mode of vessel navigation along a given route that allow, in the dialogue mode with the NIS on the electronic map, promptly adjusting the route of passage to prevent excessive proximity to vessels and obstacles, assessing the safety of movement along the changed route and choosing an effective route correction option.

For operational route correction, two methods are proposed:  
parallel shift of the active route segment and waypoint insertion.

In many situations, to prevent excessive proximity to other vessels, it is advisable to shift to a parallel track line (SPRL) [2]. This standard maneuver can be used with a deviation angle from the course of up to 150°.

The trajectory of the vessel's CM during the maneuver is shown in Fig. 1. This maneuver is characterized by: the angle of course change  $\Delta K$ , a given turning parameter (let's say radius  $R_3$ ), the turn time  $\tau$  by the angle  $\Delta K$  and the distance traveled during this time  $\Delta l$ , the distances  $\Delta s$ ,  $\Delta b$  from the waypoint  $Z$  to the start points  $A$  and end points  $B$  of the turn, the length  $S_L$  of the straight segment, the direct  $s_{cm}$  and lateral  $r_{cm}$  displacement of the end point  $E$  relative to the initial  $A$ , the duration  $m\tau$  of the maneuver and the moment  $mt$  of its beginning.




Fig. 1. Maneuver of shifting to a parallel track line

Depending on the given radius  $R_3$  and the angle of rotation, the values of  $\Delta s$  and  $\Delta b$  can be calculated using simplified form (ulus explained in Fig. 2):

$$S_{\Delta} = (R_3 + K_{R3}L)tg \frac{\Delta_K}{2}; \quad b_{\Delta} = tg \frac{\Delta_K}{2}$$

Here  $L$  is the length of the vessel;  $R_3$ ,  $k$  is the coefficient corresponding to a specific vessel (usually lies in the range from 0.7 to 1.7, on average it is considered equal to one). Thus, the turning trajectory is simplified as a set of the turning delay section  $AP$  and the arc of a circle  $PB$ . The length of the turning trajectory

$$l_{\Delta} = K_{R3}L * tg \frac{\Delta_K}{2} + R_3 \Delta_K$$





Fig. 2. Maneuver parameters  $S_{\Delta}$ ;  $b_{\Delta}$

More precisely, the maneuver parameters  $S_{\Delta}$ ,  $b_{\Delta}$ ,  $l_{\Delta}$  are found by modeling in accelerated turn time using the reference model of the automatic course control system. The turn time by an angle  $\Delta_K$  and the duration of the maneuver are calculated using the formulas:


$$\tau_{turn} = \frac{l_{\Delta}}{V} ; \tau_m = 2\tau_{turn} + S_l/V$$



**Fig. 3. Route with zones of evolutionary movement**

In some cases, the transition route is represented as a broken line with circular areas of radius  $S_{\Delta} = f(R_3, \Delta_K)$  near the waypoints (Fig. 4). These areas, on the boundary of which the turn begins, are called zones of evolutionary motion.

In order to avoid excessive approach to vessels by shifting to a parallel track line in the route section [J-1, J] mode (Fig. 4), the deviation angle from the course ( $\Delta_K$ ) and the shift ( $r_{cm}$ ) of the remaining part of the active track section are set without changing its direction. As a result, two new waypoints (Z, Q) are entered into the route and the position of the turning point J is changed.



**Fig. 4. Changing the route to pass a vessel by maneuvering to a parallel track line**

Point Z is usually considered to be a location at a distance  $S_{\Delta}$  ahead of the current position of the ships. If the start of the maneuver is planned with a time delay ( $t$ ), then the future position of the ship's CM at a distance of  $(S_{\Delta} + V * t)$  from its current location is taken as Z. The position of waypoints Q, J depends on  $\Delta_K$ ,  $r_{cm}$  as well as the courses along the active and following segments of the route.

In order to promptly change the route using the method under consideration, it is necessary to introduce a special function and a program for its implementation into the R/V. This program should allow assigning  $R_3$ ,  $\Delta_K$  and the shift  $r_{cm}$  of the route segment. It is also advisable to provide for the input of the delay time  $t_{3\Delta}$  of the maneuver.


It is convenient to shift the active route segment by "dragging" it with the cursor while holding down the left button of the manipulator. When performing this operation, it is necessary to calculate the values of the parameters of the SPLP maneuver (in the area of its existence) corresponding to the shift  $r_{cm}$  of the route segment. The following should be displayed on the screen:

the forecast of the vessel's route and its position calculated at the end of the maneuver with the speed vector and safety area; target vessels, their path from the current location to the one predicted at the end of the maneuver, the vectors of true and relative motion.

Fig. 5 - 7 shows an example of data display when selecting a maneuver of the SPLP to diverge from 4 targets. The initial situation is shown in Fig. 5. The time of the true motion vectors is taken to be 6 min, the relative motion vectors - 12 minutes, the maneuver delay time - 0 min. The permissible closest approach distance (PCAD) is set to 10 kb.

When selecting a maneuver (Fig. 6), the predicted trajectory of our vessel's transition to the active route segment shifted by the cursor is shown by a dotted line. Near the vessel's predicted location at the end of the SPLP maneuver, its speed vector and safety zone with the PCAD radius are shown by a solid line. The actual position of the target in Fig. 6 is designated by its number. The true and relative motion vectors are shown near the predicted target location at the end of the maneuver. If the target is not dangerous at the end of the maneuver, the true motion vector will be a thin solid line, and the relative motion vector will be a thin dotted line. If the target is dangerous, the true motion vector will be a thick solid line, and the relative motion vector will be a thick dashed line. If there is no excessive approach to the target in the interval from the beginning to the end of the maneuver, the path from the actual position to the predicted position at the end of the maneuver is shown as a thin dashed line. If a dangerous approach occurs in the named time interval, this path is displayed as a "dash-two dots" line. The given method of data display is chosen for explanations. On the NIS monitor screen, to improve understanding of the situation, information is highlighted in more effective ways: different colors, blinking, etc.

The choice of the divergence maneuver consists in finding (by shifting the cursor to the right and left of the route segment relative to its initial position) the smallest  $r_{cm}$ , at which the SPLP maneuver does not contradict the COLREGs and does not lead to the danger of excessive rapprochement with other vessels during the evasion process and at the moment of its completion. In the example under consideration, such a shift ( $r_{cm} = 16.62$  kb) is shown in Fig. 6. Having selected  $r_{cm}$ , the navigator, depending on the situation, determines the maneuver start point. When the vessel arrives at it, gives the command to begin movement along the changed route. According to this command, waypoints Z, Q, J, corresponding to the selected  $r_{cm}$  value, are entered into the planned route in the research vessel. The research vessel, ensuring movement along the changed route, will perform the divergence task. The situation of vessel rapprochement at the moment of entering the shifted route segment is shown in Fig. 7.



**Fig. 5. Changing the route to avoid a vessel by inserting a waypoint Q**

The second proposed method for selecting a change in the trajectory for diverging from ships corresponds to the insertion of two waypoints Z and Q (Fig. 8). Point Q appears when the manipulator key is pressed in the mode of selecting a divergence maneuver in this way. Its location coincides with the cursor position. When the key is pressed, point Q can be dragged by the cursor along the EC field. Point Z appears when Q is displayed. The location of Z is determined by the position of our vessel, point Q, and the assigned maneuver delay time. For any position of point Q selected by the cursor, it is possible to view (in the area of existence of the maneuver) what the situation of the convergence of the vessels will be at the moment our vessel enters the QJ segment and what the amount of loss of running time will be.

To test the efficiency of the proposed methods, a simulation model of vessel navigation along a given trajectory in the presence of moving targets (up to 50) was developed, allowing the route to be promptly

adjusted in the manner discussed above in order to pass the targets. Analysis of many divergence situations using this program showed that the proposed methods provide ease of selection of effective route adjustment options for passing several vessels and allow the presence of navigational hazards in the area of movement to be taken into account. The selection of the divergence maneuver and its execution are performed in the automatic vessel navigation mode along the route and do not require switching to manual vessel control mode.

#### LIST OF REFERENCES:

1. Alekseychuk M.S. Basic principles of the system for making optimal decisions when ships pass each other // Navigation: collection of scientific papers of the OGMA. - 1999. - Issue 1. - Pp. 7 – 14;
2. Vagushchenko A.L. Algorithm for passing with a vessel by shifting to a parallel track line // Automation of ship technical means: scientific and technical collection. - 2006. - Issue 11. - Odessa, ONMA - Pp. 10 – 20;
3. Maltsev A.S. Maneuvering of vessels when passing each other. - Odessa: Marine training center, 2002. - 208 p.;
4. Ship control: textbook for universities /S.I. Demin, E.I. Zhukov, N.A. Kubachev, and others; edited by V.I. Snopkov. – M.: Transport. 1991. – 359 p.

#### გემის კურსის შეცვლის ეფექტური და ეკონომიური ვარიანტების შერჩევა ნავიგაციის პირობების გათვალისწინებით ოთარ ჯიჯავაძე, ნატალია ჯიჯავაძე, ამირან ჯიჯავაძე რეზიუმე

გემების შეჯახების თავიდან აცილების საერთაშორისო რეგულაციების (COLREG-72) შესაბამისად, როდესაც გემებს შორის შეჯახების საშიშროება წარმოიქმნება, საჭიროა სწრაფი და გადამწყვეტი ზომების მიღება მისი თავიდან აცილების მიზნით. უმეტეს შემთხვევაში ეს ხდება გემის კურსის და/ან სიჩქარის ცვლილებით. ამასთანავე გასათვალისწინებელია ისიც, რომ კურსისა და/ან სიჩქარეში მცირე ცვლილებები ხშირად არაეფექტურია. ამიტომ გემის მანევრირების შერჩევა შეჯახების პრევენციის მიზნით ყოველთვის აქტუალურია. კვლევის მიზანია შემუშავდეს გემის ნავიგაციის ავტომატური რეჟიმისთვის ალგორითმი, რომელიც იძლევა მარშრუტის სწრაფი კორექტირების საშუალებას, რათა თავიდან ავიცილოთ გემებთან და დაბრკოლებებთან საშიშ მანძილზე მიახლოება. მარშრუტის ოპერატიული კორექტირებისთვის შემოთავაზებულია ორი მეთოდი: აქტიური კურსის მონაკვეთის პარალელური გადაადგილება და სავალი წერტილის დასმა. შემოთავაზებული მეთოდების ეფექტურობის შესამოწმებლად შემუშავდა გემის ნავიგაციის სიმულაციური მოდელი მოცემული ტრაექტორიით მოძრაობის სამიზნეებით, ზემოთ განხილული მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი გახდა მარშრუტის სწრაფი კორექტირება. ამ პროგრამის გამოყენებით სიტუაციის ანალიზმა აჩვენა, რომ შემოთავაზებული მეთოდები იძლევა გემის მარშრუტის კორექტირების ეფექტური ვარიანტების არჩევის საშუალებას ნავიგაციის საფრთხის არსებობის გათვალისწინებით. დაბრკოლების გვერდის ავლის მანევრის შერჩევა და მისი შესრულება ხორციელდება ავტომატურად და არ საჭიროებს გემის გადაყვანას ხელოვნური მართვის რეჟიმში.

**Выбор эффективных и экономичных вариантов изменения курса судна с учетом навигационных условий**

**Отар Джиджавадзе, Наталия Джиджавадзе, Амиран Джиджавадзе**

**Резюме**

В соответствии с Международными правилами предупреждения столкновений судов (МППСС-72), при возникновении опасности столкновения судов необходимо предпринимать заблаговременные и решительные действия для ее предотвращения. Любое изменение курса и/или скорости должно быть достаточно значительным, чтобы его могли легко заметить другие суда, и соответствовать хорошей морской практике. Следует избегать серии небольших изменений курса или скорости, так как они могут быть неэффективными. Целью исследования является разработка для автоматического режима вождения судна по заданному маршруту алгоритмов, позволяющих оперативно корректировать маршрут перехода для предупреждения чрезмерного сближения с судами и препятствиями, оценивать безопасность движения по измененному пути и выбирать эффективный вариант коррекции маршрута. Для оперативной коррекции маршрута предлагаются два метода: параллельного смещения активного отрезка пути и вставки путевой точки. Для проверки эффективности предложенных методов составлена имитационная модель вождения судна по заданной траектории при наличии движущихся целей позволяющая оперативно корректировать маршрут рассмотренным выше образом, чтобы разойтись с целями. Анализ с помощью этой программы многих ситуаций расхождения показал, что предложенные способы обеспечивают простоту выбора эффективных вариантов коррекции маршрута для расхождения с несколькими судами и позволяют учитывать наличие навигационных опасностей в районе движения. Выбор маневра расхождения и его выполнение производятся в режиме автоматического вождения судна по маршруту и не требуют перехода на ручной режим управления судном.

## საქართველოს ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივები

ვაჟა ზეიკიძე\*, გიორგი მაისურაძე\*\*, თამარ კილაძე\*\*\*,  
ცირა ელგენდარაშვილი\*\*\*\*, ნატალია ელგენდარაშვილი\*\*\*\*\*

*\*ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,*

*ელ. ფოსტა: v.zeikidze@gtu.ge;*

*\*\*პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ელ. ფოსტა: g.maisuradze@gtu.ge;*

*\*\*\*პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ელ. ფოსტა: t.kiladze@gtu.ge;*

*\*\*\*\*ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,*

*ელ. ფოსტა: t.elgendarashvili@gtu.ge;*

*\*\*\*\*\*ასისტენტ პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,*

*ელ. ფოსტა: nataliko1710@yahoo.com*

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №71, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების თავისებურებები და საქართველოში მისი სრულყოფის მიმართულებები. კვლევის პროცესში შესწავლილი და გაანალიზებული იქნა ქვეყანაში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობა, მისი როლი ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაში. სტატიაში გაანალიზებულია ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის კვლევის შედეგები და მასზე დაყრდნობით ჩამოუალიბებულია წინადადებები, რომელთა დანერგვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყანაში ტურისტული ინდუსტრიის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სამომავლო განვითარებას.

**საკვანძო სიტყვები:** სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ტურისტული მომსახურება, საგზაო ინფრასტრუქტურა.

### შესავალი

საქართველოს ტურიზმის ინდუსტრია, როგორც ქვეყნის ეკონომიკური სისტემა შედგება მრავალფეროვანი კომპლექსისაგან, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება შეუძლებელია სატრანსპორტო მომსახურების გარეშე. ტურიზმის სატრანსპორტო მომსახურების დონე საქართველოში გარკვეულ წილად, როგორც ხარისხით ისე არჩევანის დონით, ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს. ტურიზმის სატრანსპორტო მომსახურების პრობლემებს საქართველოში მიეკუთვნება მთიან რეგიონებში საგზაო ინფრასტრუქტურის არასათანადო დონე, რაც გარკვეულად ართულებს ღირშესანიშნავ ადგილებამდე ტურისტების მიყვანას. მგზავრთნაკადის ზრდა, რომელიც საჭიროებს ოპტიმიზაციას, ტრანსპორტის ეკოლოგიური უსაფრთხოება, შავი ზღვის სანაპირო ზოლში ტურისტების გადაადგილებისათვის საზღვაო ტრანსპორტის გამოყენების განვითარება, შემომყვანი ტურების ორგანიზებისთვის საჭირო ტრანსპორტის გამოყენება და ა.შ.

წარმოდგენილი სტატია ეხება სწორედ ტურიზმის ინდუსტრიის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის კვლევას, რადგან ტრანსპორტი ამ შემთხვევაში გვევლინება არა მარტო ტურისტების გადაადგილების საშუალებად და დარგის განვითარების საფუძვლად, არამედ იძენს ტურისტული რესურსის ფუნქციას, რადგან სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებით იქმნება საშუალება ქვეყანაში ტურისტული ნაკადების თავისუფალი გადაადგილებისათვის.

საკითხის შესწავლისა და კვლევების პროცესში, როგორც სამამულო, ისე უცხოურ სამეცნიერო წყაროებში ყურადღება ძირითადად მახვილდება სატრანსპორტო მომსახურებაზე და ნაკლები ყურადღება ეთმობა ტურისტული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შესწავლას. ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში აქცენტი სწორედ გაკეთებულია ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების არსებულ მდგომარეობაზე და პერსპექტივაში მისი განვითარების სრულყოფაზე.

### ძირითადი ტექსტი

ქვეყნის ტურისტული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება ემსახურება არამარტო ტურისტულ კომპანიებს, არამედ მისი მომსახურებით სარგებლობა შეუძლია სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, გადაადგილების და ტვირთების ტრანსპორტირების პროცესში. ფაქტიურად ქვეყნის ტურისტული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა მოიცავს მთლიან სატრანსპორტო კომპლექსს. ჩვენს მიერ ტურისტული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შესწავლია მიზნით აუცილებელია მისი არსის დაზუსტება და სისტემური კლასიფიკაციის შემუშავება. საქართველოს ტურისტული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა შესაძლებელია დავყოთ შემდეგ ელემენტებად:

1. კუთვნილების მიხედვით (საერთაშორისო, ეროვნული და რეგიონული);
2. საკუთრების ტიპის მიხედვით (საჯარო, კერძო, სახელმწიფო-კერძო პარტნიორული);
3. გამოყენების ტიპის მიხედვით (მასობრივი-ტურიზმი, ინდივიდუალური-ტურიზმი);
4. განვითარების დონის მიხედვით (განვითარებული, განუვითარებელი);
5. ფუნქციური დანიშნულების მიხედვით:
  - ა. სატრანსპორტო საშუალებებად (ავტობუსები, მიკროავტობუსები, სარკინიგზო ტრანსპორტი, საზღვაო და სხვა სატრანსპორტო საშუალებები);
  - ბ. სატრანსპორტო ობიექტები (ავტოსადგურები, რკინიგზის სადგურები, აეროპორტები, პორტები);
  - გ. სატრანსპორტო გზები (სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო);
  - დ. სატრანსპორტო მარშრუტები (სარკინიგზო, საჰაერო, საზღვაო, საავტომობილო, საფეხმავლო);
  - ე. სატრანსპორტო და ტურისტული კომპანიები;
  - ვ. კომუნიკაციის და საინფორმაციო საშუალებები.

წარმოდგენილ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ჩამოვყალიბოთ ტურისტული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არსის შემდეგი განმარტება - ტურისტული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა არის ერთიანი კომპლექსი, რომელიც აერთიანებს სატრანსპორტო საშუალებებს, სატრანსპორტო ობიექტებს, სატრანსპორტო და ტურისტულ კომპანიებს, სატრანსპორტო გზებსა და მარშრუტებს, სატრანსპორტო

მომსახურების სექტორში მომქმედ ტურისტულ და მომსახურების სერვისებს (კომუნიკაციის და საინფორმაციო საშუალებებს, შრომითი რესურსებს), რომელიც მთლიანობაში გამოიყენება ტურისტული მომსახურების ორგანიზებისთვის.

ტურისტული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანის ტურისტული იმიჯის, ტურისტული კომპანიების და სერვისების ფორმირებაში, როგორც ქვეყნის ისე რეგიონების მაშტაბით. ამასთან ერთად აუცილებელია გამოვყოთ მისი უნიკალური თვისებები, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დარგის და კომპანიების მართვისას, კერძოდ:

- მრავალფუნქციურობა;
- კომუნიკაბელურობა;
- დინამიურობა;
- მრავალფაქტორულობა;
- ტრავმატიზმის რისკი;
- ჩართულობა;
- ადაპტირება.

საქართველოს ტურისტული კლასტერის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის პრობლემები განპირობებულია ამ სფეროში არსებული მომსახურების სერვისების თავისებურებებით, მათგან აღსაიშნავია შემდეგი გარემოებები:

- სისტემის ზოგიერთი ელემენტი არამატერიალურია (ტრანსპორტირება, სერვისის ხასიათი, უსაფრტხოების ზომები, სუბიექტების შთაბეჭდილებები);
- შეუძლებელია სისტემის სარვისების შენახვა და მარაგების შექმნა;
- სერვისის ერთდროული წარმოება და მოხმარება;
- სუბიექტივიზმი აღქმაში;
- ბალანსის შენარჩუნების აუცილებლობა ადამიანური და ტექნიკური ფაქტორების აღქმაში.

ქვეყნის ტურისტული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის კვლევის პროცესში, ჩვენს მიერ სისტემის მართვის პროცესში რესურსების ეფექტურად განაწილების მიზნით, გამოყოფილი იქნა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ოპტიმალური კომპლექსის ფორმირების ძირითადი ელემენტები და ჩავატარეთ შედარებითი ანალიზი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- დიზაინი და სტრუქტურა (კრიტერიუმის ხვედრითი წილი კომპლექსში-10%);
- ისტორიული ფასეულობანი (20%);
- უნიკალურობა (10%);
- კავშირი ტურისტულ რეგიონებთან (20%);
- ტურისტების მხრიდან მონახულების სისხშირე (40%).

ქვეყნის ტურისტული ობიექტის შერჩევის მომენტში, ობიექტის მიერ 50%- ის და მეტის ხვედრითი წილის მოგროვების შმთხვევაში, ობიექტი მიჩნეული ხდება ტურისტული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის წამყვან ელემენტად და ხორციელდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის კომპლექსის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების დამუშავება.

საქართველოს ტურისტული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სამომავლო განვითარებისთვის შესაძლებელია გამოვყოთ ოთხი ძირითადი მიმართულება:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებით საგზაო ქსელის სრულყოფა (ახალი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, ახალი თანამედროვე სტანდარტების საავტომობილო გზების მოწყობა);
- საგზაო მოძრაობის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მენეჯმენტის სრულყოფა (სატრანსპორტო ნაკადების ოპტიმიზაცია, მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვა, ახალი თანამედროვე სტანდარტის პარკინგის მოწყობა, მართვის ავტომატიზირებული სისტემების გამოყენება);
- ინოვაციების დანერგვა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სფეროში (ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სატრანსპორტო სისტემების მართვაში, მომსახურების სანავიგაციო და საინფორმაციო ინსტრუმენტების შემუშავება-დანერგვა);
- სახელმწიფოს როლის შეცვლა ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის პროცესში, სახელმწიფო და კერძო პარტნიორობის განვითარებით.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებებზე დაყრდნობით, წინასწარ შედგენილი კითხვარებით, ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით 2023 წელს გამოკითხული იქნა 8 ექსპერტი-სპეციალისტი. მონაცემების დამუშავების შედეგად მიღებული მონაცემები შეტანილი იქნა ცხრილში (იხ.ცხრილი 1).

ცხრილი 1

ქვეყნის ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების დონის შეფასება  
ბალების მიხედვით

|                                              |     |
|----------------------------------------------|-----|
| აეროპორტები                                  | 4   |
| საჰაერო ტრანსპორტი                           | 4   |
| სარკინიგზო სადგურები                         | 3   |
| სარკინიგზო ტრანსპორტი                        | 2   |
| ავტოსადგურები                                | 2   |
| საავტომობილო ტრანსპორტი                      | 2   |
| საგზაო ინფრასტრუქტურა                        | 2,5 |
| საავტომობილო გზების მიმდებარე ინფრასტრუქტურა | 2   |
| ტრანსპორტზე სერვისის დონე                    | 2,5 |

შეფასება ბალებით (1 - ძალიან დაბალი, 2 - დაბალი, 3 - საშუალო, 4 - საშუალოზე მაღალი, 5 - მაღალი.)

წარმოდგენილი მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ დაბალი შეფასება მიიღო ავტოსადგურებმა, საავტომობილო გზების მიმდებარე ინფრასტრუქტურამ, საავტომობილო ტრანსპორტმა და სარკინიგზო ტრანსპორტმა. საშუალოზე მაღალი დონის შეფასება მიიღო ქვეყანაში მომქმედმა აეროპორტებმა და საჰაერო ტრანსპორტმა. მთლიანობაში ცხრილის მონაცემების ნალიზიდან ჩანს რომ საქართველოს ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ტურიზმის სერვისების თანამედროვე მოთხოვნებს.

ჩატარებული კვლევის შედეგად ნათელი ხდება, რომ საქართველოში ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დაჩაქრებული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია მართვის ახალი სისტემის ელემენტების წარმატებით დანერგვა.

ამ მიზნით 2025 წლის პირველი ივნისიდან, საქალაქთაშორისო რეგულარული მგზავრთა გადაყვანა განხორციელდება მხოლოდ M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო

საშუალებებით. 2024 წლის 1 მარტიდან საქართველოს კანონში „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“, შევიდა ცვლილებები. ცვლილებიდან გამომდინარე გადამზიდველს ევალება მგზავრთა გადასაყვანად შესაბამისი ნებართვის აღება. ერთი ნებართვა შეეხება სამგზავრო გადაყვანის ნებართვას და მეორე საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების ნებართვას. ნებართვები კონკურსის გარეშე გაიცემა და საქართველოს მთავრობის სპეციალური დადგენილებით დარეგულირდება. „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ კანონს სპეციალური მუხლი დაემატა, რომელშიც ასევე განსაზღვრულია ავტოსადგურების კლასები და მათი სერტიფიცირება. კანონის თანახმად ავტოსადგურები სამ კლასად დაიყოფიან და თითოეულ კლასს დავალებული აქვს შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილება. პირველი კლასის ავტოსადგურები განახორციელებენ, როგორც საერთაშორისო ისე შიდა სამგზავრო გადაყვანებს. მეორე და მესამე კლასის ავტოსადგურები მოემსახურებიან მხოლოდ მგზავრთა შიდა გადაყვანებს. ქვეყნის ავტოტრანსპორტის განვითარებისთვის დაწესებული ახალი რეგულაციები, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მგზავრთა გადაყვანის სერვისს და დააჩქარებს ახალ სტანდარტებზე გადასვლას, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად წაადგება ქვეყანაში ტურისტული სატრანსპორტო მომსახურების შემდგომ განვითარებას. ტურისტული სატრანსპორტო მომსახურების ინფრასტრუქტურის სრულყოფის კუთხით მეტად საყურადღებოა 2008/68/EC დირექტივის მოთხოვნების დანერგვა, რომელიც შეეხება ქვეყნის ტერიტორიაზე სახიფათო ტვირთების გადაზიდვის პირობებსა და წესებს, რომლის მოთხოვნების ამოქმედება აუცილებელია გამართული სატრანსპორტო სერვისების პირობებში.

საქართველოს რკინიგზისათვის, ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, ძირითადი პრობლემაა ხაშურსა და ზესტაფონს შორის მდებარე 17 კილომეტრიანი მონაკვეთი, რომელზეც მთიანი რელიეფის გამო შეზღუდულია რკინიგზის ტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარე, რაც მნიშვნელოვნად ზრდის თბილისსა და ბათუმს, თბილისსა და ფოთს შორის მატარებლების მოძრაობის ხანგრძლივობას. ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტი, რომლის დასრულების შემდეგ, ამ ყველაზე რთულ უბანზე სარკინიგზო ოპერაციებისთვის არსებითად გაუმჯობესდება სარკინიგზო ინფრასტრუქტურა. საქართველოს რკინიგზის არსებულ გამოწვევებსა წარმოადგენს სავაგონო-სალოკომოტივო პარკი, რომელიც თავისი ტექნიკური პარამეტრებით მოძველებულია და დაჩქარებულ განახლებას სჭიროებს.

## დასკვნა

ქვეყნის ტურისტული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის კვლევის შედეგად შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება: ტურისტული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა არის ერთიანი კომპლექსი, რომელიც აერთიანებს სატრანსპორტო საშუალებებს, სატრანსპორტო ობიექტებს, სატრანსპორტო და ტურისტულ კომპანიებს, სატრანსპორტო გზებსა და მარშრუტებს, სატრანსპორტო მომსახურების სექტორში მომქმედ ტურისტულ და მომსახურების სერვისებს (კომუნიკაციის და საინფორმაციო საშუალებებს, შრომითი რესურსებს, რომელიც მთლიანობაში გამოიყენება ტურისტული მომსახურების ორგანიზებისთვის. კვლევის შედეგად ნათელი ხდება, რომ საქართველოში ტურიზმის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დაჩქარებული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია მართვის ახალი სისტემის ელემენტების წარმატებით დანერგვა.

ქვეყნის ავტოტრანსპორტის განვითარებისთვის დაწესებული ახალი რეგულაციები, რომელიც ამოქმედდება 2025 წლის 1 ივნისიდან, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მგზავრთა გადაყვანის სერვისს და დააჩქარებს ახალ სტანდარტებზე გადასვლას, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად წაადგება ქვეყანაში ტურისტული სატრანსპორტო მომსახურების შემდგომ განვითარებას. საქართველოს რკინიგზის ინფრასტრუქტურის განვითარების სრულყოფისათვის არსებულ გამოწვევებს, წარმოადგენს რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტი, რომლის დასრულების შემდეგ არსებითად გაუმჯობესდება სარკინიგზო ინფრასტრუქტურა. ასევე განახლებას საჭიროებს სავაგონო-სალოკომოტივო პარკი, რომელიც თავისი ტექნიკური პარამეტრებით მოძველებულია.

**გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. საქართველოს 2023-2030 წლების ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგია. თბ., 2022;
2. ბ. გითოლენდია, საქართველოს სატრანსპორტო სექტორის, ევროპულ სისტემებთან ურთიერთთავსებადობისა და ინტერმოდალურობის პრობლემის ანალიზი, თბ., 2018;
3. ბ. ნამჩავაძე, ინფრასტრუქტურა - საქართველოს ეკონომიკის ძლიერი თუ სუსტი მხარე <https://forbes.ge/inphrastruqtura-sagarthvelos-ekonomikis-dzlieri-thu-susti-mkhare/>
4. მ. მახნიაშვილი, კერძო-საჯარო პარტნიორობა: საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ახალი შესაძლებლობები თბ., 2024;
5. საზღვაო ტრანსპორტის სტრატეგიული განვითარების კონცეფცია თბ., 2020;
6. European Commission, Directorate-General for Communication Citizens information – THE EUROPEAN UNION EXPLAINED – „Transport“ – 2014;
7. [http://europa.eu/pol/trans/index\\_en.htm](http://europa.eu/pol/trans/index_en.htm)
8. <http://www.economy.ge>

**Prospects for the development of Georgian tourism transport infrastructure**

**Vazha Zeikidze, George Maisuradze, Tamar Kiladze, Tsira Elgendarashvili,**

**Natali Elgendarashvili**

**Abstract**

The article discusses the features of the development of tourism transport infrastructure and the directions of its improvement in Georgia. In the process of research, the current state of the transport infrastructure in the country, its role in the development of the tourism industry were studied and analyzed. The article analyzes the results of the research on tourism transport infrastructure and, based on it, makes proposals, the implementation of which will significantly improve the future development of the transport infrastructure of the tourism industry in the country.

**Перспективы развития туристической транспортной инфраструктуры Грузии**

**Важа Зейкидзе, Георгий Маисурадзе, Тамар Киладзе, Цира Елгендарашвили,**

**Натали Елгендарашвили**

**Резюме**

В статье рассматриваются особенности развития транспортной инфраструктуры туризма в Грузии и направления ее совершенствования. В процессе исследования было изучено и проанализировано современное состояние транспортной инфраструктуры страны и ее роль в развитии туристической отрасли. В статье анализируются результаты исследования транспортной инфраструктуры туризма и на их основе вносятся предложения, реализация которых позволит существенно улучшить будущее развитие транспортной инфраструктуры туристической отрасли страны.

### სამეცნიერო ნაშრომის რედაქციაში წარმოდგენის წესი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ჟურნალში - “ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა” სამეცნიერო ნაშრომის წარმოდგენა ხდება ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. ნაშრომი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის ქაღალდის 1,15 ინტერვალით ნაბეჭდ გვერდზე ISO სტანდარტის მოთხოვნის მიხედვით:

ა) ნაშრომი უნდა მომზადდეს Microsoft Word-ში ცხრილებისა და ფორმულების რედაქტორების გამოყენებით; შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს Microsoft Excel-ის პროგრამა;

ბ) სამუშაო ქაღალდის მინდვრის ზომები: ზედა - 35 მმ, ქვედა - 25 მმ, მარცხენა - 25 მმ, მარჯვენა - 25 მმ;

გ) ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომი უნდა აიწყოს Sylfaen – ის გარნიტურის შრიფტით, ინგლისურ და რუსულ ენებზე შესრულებული ნაშრომი კი - Times New Roman შრიფტით;

დ) ნაშრომის დასახელება უნდა აიწყოს Sylfaen გარნიტურის შრიფტით 18B; ავტორის სახელი (სრულად) და გვარი - Sylfaen გარნიტურის შრიფტით 14B; ავტორის თანამდებობა/წოდება/ხარისხი, ელ. ფოსტის მისამართი უნდა მიეთითოს შრიფტით 10; დასახელება ორგანიზაციის, სადაც შესრულდა სამუშაო, უნდა მიეთითოს ფრჩხილებში - შრიფტით 12B; ნაშრომის რეზიუმე უნდა შესრულდეს კურსივი შრიფტით 11; საკვანძო სიტყვები - შრიფტით 11; ნაშრომის ტექსტი - 11; რუსულ ენაზე შესრულებული ნაშრომი - შრიფტით 12; ლიტერატურის ჩამონათვალის შემდეგ ერთვის რეზიუმე ინგლისურ და რუსულ ენებზე შემდეგი მითითებით: ნაშრომის დასახელება, ავტორის/ავტორების სახელი (სრულად) და გვარი. რეზიუმეს მოცულობა უნდა იყოს 5-15 სტრიქონი;

2. ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ან კომპაქტ დისკზე (CD-R) და ერთ ეგზემპლარად A4 ფორმატის ქაღალდზე (მკაფიოდ) დაბეჭდილი ან ატვირთეთ შემდეგ მისამართზე: [journal.t.m@gtu.ge](mailto:journal.t.m@gtu.ge)

3. ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს მონაცემები ავტორის (ავტორების) შესახებ: აკადემიური ხარისხი/სამეცნიერო ხარისხი, თანამდებობა, სამუშაო ადგილი და ტელ. ნომერი;

4. ჟურნალში ქვეყნდება მხოლოდ რეცენზირებადი ნაშრომები;

5. რედაქცია მხარს დაუჭერს ერთ ჟურნალში ერთი და იგივე ავტორების მიერ შესრულებულ არაუმეტეს სამი სტატიის გამოქვეყნებას;

6. ნაშრომის გვერდების რაოდენობა განისაზღვრება 5-დან 30 გვერდამდე;

7. ავტორი პასუხს აგებს ნაშრომის შინაარსსა და ხარისხზე.

**FOR AUTHIORS**

**procedure for submission of scientific papers in journal**

In the Journal “Transport and Machine Building” of Transport and Mechanical Engineering Faculty of Georgian Technical University manuscripts will be submitted in Georgian, English and Russian languages with satisfying of the following conditions:

1. The paper must be performed on A4 page format with interval 1,15 by requirements of ISO standard:

a) The paper must be prepared in Microsoft Word with using of redactor for the tables and formulae; is possible to use the program Microsoft Excel.

b) Margins: top – 35 mm, bottom – 25 mm, left – 25 mm, right – 25 mm.

c) Performed in Georgian paper must be typed in Sylfaen, performed in English and Russian papers – in Times New Roman.

d) Title of paper must be typed in Sylfaen (18B); name and surname of author – in Sylfaen (14B); affiliation, in parenthesis – in 12B; abstract must be performed in italic 12; keywords – in 12; body-type – in 12; performed in Russian paper – in 12; after references should have the abstracts in English and Russian with following: title of paper, name and surname of author (authors). The abstract should not exceed 5-15 lines;

2. The paper must be submitted on compact-disk (CD-R) and one copy (legible) printed on format A4 Or upload to the following address: [journal.t.m@gtu.ge](mailto:journal.t.m@gtu.ge);

3. The paper should be accompanied with the information about author (authors): scientific degree, rank and position;

4. Only the peer reviewed works are published in the journal;

5. The editorial supports the publishing of no more than three articles published by the same authors in one journal;

6. Size of paper’s sheet is determined in range from 5 up to 30 pages;

7. The author is wholly responsible for the contents and quality of the paper.

## **К СВЕДЕНИЮ АВТОРОВ**

### **Порядок представления в редакцию научных работ**

В журнал “Транспорт и машиностроение” транспортного и машиностроительного факультета Грузинского технического университета научные работы представляются на грузинском, английском и русском языках с соблюдением следующих требований:

1. Работа должна быть выполнена на бумаге форматом А4 с интервалом 1,15 на печатном листе согласно требованиям стандарта ISO:

а) Работа подготавливается в Microsoft Word с использованием редакторов таблиц и формул; возможно использование программы Microsoft Excel.

б) размеры поля рабочего листа: верхнее – 35 мм, нижнее – 25 мм, левое – 25 мм, правое – 25 мм.

в) выполненная на грузинском языке работы должна быть набрана шрифтом Sylfaen, выполненный на английском и русском языках работы – шрифтом Times New Roman.

г) название работы должно быть набрано шрифтом Sylfaen (18B); имя и фамилия автора – шрифтом Sylfaen (14B); название организации, где выполнена работа, указывается в скобках – шрифтом 13B; резюме работы выполняется курсивным шрифтом 12; ключевые слова – шрифтом 12; текст работы – шрифтом 12; выполненная на русском языке работа – шрифтом 12; после литературы прилагается резюме на английском и русском языках со следующим указанием: название работы, имя и фамилия автора (авторов). Объём резюме не должен превышать 5-15 строк;

2. Работа должна быть представлена на компакт-диске (CD-R) и в одном экземпляре (разборчиво) напечатанной на бумаге формата А4 Или загрузите по следующему адресу: [journal.t.m@gtu.ge](mailto:journal.t.m@gtu.ge);

3. К работе прилагаются данные об авторе (авторах): научная степень, звание и должность;

4. В журнале публикуются только рецензируемые работы;

5. Редакция согласится напечатать в одном журнале не более трёх статей выполненных одним и тем же автором;

6. Количество листов работы определяется от 5 до 30 страниц;

7. Автор несёт ответственность за содержание и качество работы.

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №1 (62) 2025

TRANSPORT AND MACHINEBUILDING №1 (62) 2025

ТРАНСПОРТ И МАШИНОСТРОЕНИЕ №1 (62) 2025

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი  
SCIENTIFIC – TECHNICAL JOURNAL  
НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

გამოდის პერიოდულობით წელიწადში სამჯერ

Published periodically for three times a year

Журнал выходит в год три раза

გამომცემლობა „ტრანსპორტი & მანქანათმშენებლობა“  
Publishing House „TRANSPORT & MACHINEBUILDING”  
Издательство „ТРАНСПОРТ & МАШИНОСТРОЕНИЕ”

დიზაინერ-დამკაბადონებელი - თეა ბარამაშვილი

Designer-Typographer - Tea Baramashvili

Дизайнер-типограф - Теа Барамашвили

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2025წ. 27 მარტი;  
გამოცემის ფორმატი 60X84 1/8; ფიზიკური ნაბეჭდი  
თაბახი 11.25; საბეჭდი ქაღალდი - ოფსეტური №1.  
Signed for printing 27: 03: 2025; Editor size 60X84 1/8; printed  
sheet 11.25; printing paper - Offset N1.  
Подписано к печати 27: 03: 2025г; Формат издания л. 60X84 1/8;  
Физических печатных листов 11.25; Печатная бумага - офсетная №1.